მამუკა ტაკიძე

# პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი რეგულირების მიმართულებები საქართველოშო

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეა ლაზარაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

# ანოტაცია


სამაგისტრო ნაშრომი ძალიან აქტუალურია, რადგან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და მათი რეგულირების წყაროებს, გლობალიზაციის პირობებში.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და სიძლიერისთვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების შემოდინება, მათი მაქსიმალური ათვისება და სტიმულირება. როცა ქვეყანას აქვს ინვესტიციების შემოდინების დიდი რესურსი, გარემო პირობებიდან და საინვესტიციო გარემოს რეგულირებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ უცხოური კაპიტალი ქვეყნის სავალუტო მდგომარეობის სიჯანსაღისათვის.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განივითარებისთვის. ინვესტიციები სხვადასხვა სახისაა და ეკონომიაშიც საგრძნობლად განსხვავდება მათი მნიშვნელობა. უცხოური ინვესტიციების შემოდინებას სასიცოცხლო როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და კეთილდღეობაში. ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდა, ამიტომ ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რაშიც საგულისხმოა, დაბალი საგადასახადო სისტემა, იაფი მუშახელი და აუთვისებელი ადგილობრივი ბაზრები. საქართველოს უცხოური ინვესტიცების თვალსაზრისით რამოდენიმე პერსპექტიული და ძლიერი დარგი გააჩნია: ესენია ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. დანარჩენ დარგებზე მოთხოვნა შედარებით დაბალია მაგრამ გარემო პირობების შექმნით სამომავლოდ ეს დარგებიც მიმზიდველი გადება უცხოელი ინვესტორებისთვის.

Mamuka takidze

# FDI and their regulation Directions to Georgia

## Annotation

The master's thesis is very important because it is very important for the development of the country's economy, with foreign direct investments and the sources of their regulation in the context of globalization.

For the development and strength of the country's economy, it is necessary to attract, stimulate and maximize foreign investment. When a country has a large source of investment inflows due to environmental conditions and investment environment regulation, foreign capital should be invested as much as possible for the soundness of the country's currency.

The paper discusses the role and importance of investments for the development of the country's economy. Investments are of different kinds and their importance in the economy is also very different. The influx of foreign investments plays a vital role in the development and prosperity of the country's economy. The growth of the economy is important for all countries, so it is imperative that different measures be taken to attract investment.

In terms of attracting foreign direct investment, Georgia is one of the most successful countries in Eastern Europe, with a low tax system, cheap labor and untapped local markets. Georgia has several promising and powerful foreign investment areas: energy, transport and communications. Demand for other sectors is relatively low, but with the creation of environmental conditions these sectors will also be attractive to foreign investors in the future.

## სარჩევი


შესავალი ..... 5

თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიული საფუძვლები ..... 11

1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა ..... 11

1.2 ინვესტიციის ძირითადი სახეები და ფორმები ..... 12

თავი 2. ინვესტიციების თეორიული ასპექტები, მათი კლასიფიკაცია ..... 23

2.1 ინვესტიციის მნიშვნელობა და მისი კლასიფიკაცია ..... 23

2.2. უცხოური ინვესტიციები გლობალურ ეკონომიკაში ..... 27

თავი 3: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საქართველო ..... 32

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის ..... 32

3.2 საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის აქტუალურობა ..... 40

3.3 პირდაპიი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მისი ..... 51

თავი 4 . პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების მნიშვნელობა ..... 59

4.1 ინვესტიციების რეგულირების მნიშვნელობის გენეზისი ..... 59

4.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირება ..... 62

დასკვნა ..... 69

გამოყენებული ლიტერატურა ..... 71

# შესავალი

ინვესტიცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ეკონომიკური განმარტებით კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას ნიშნავს. დროთა განმავლობაში განმარტებას სხვადასხვა მნიშვნელობები ემატებოდა და დღემდე მოვიდა ამ განმარტებით სხვადასხვა სფეროში. ინვესტიცია დაბანდების ადგილის მიხედვით ორი სახისაა: ადგილობრივი ინვესტიცია და უცხოური ინვესტიცია. ადგილობრივ ინვესტიციას ბაზრის დიდი ნაწილი უჭირავს და სიდიდით არ გამოირჩევა. ხოლო ყველა განვითარებულ ქვეყანს ძალიან დიდი ყურადგება აქვს გადატანილი უცხოურ ინვესტიციებზე.

თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელ მოთხვოვნას წარმოადგენს. ისტორიულ არეალს, რომ თვალი გადავავლოთ ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა გასულ საუკუნეებშიც მკვეთრად იხატებოდა. საერთასორისო გამოცდილებით, რომ ვისაუბროთ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ინვეტიციების მოზიდვის კუთხით დაბალ მასშტაბებს ვერ ცდებოდა, ჩემი შეხედულებით ეს დაბალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო ორი კომფლიქტური რეგიონის არსებობისა და არაკვალიფიციური მუშახელის გამო. გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და არაკვალიფიკაციური მუშახელის გარდა გვაქვს დადებითი მხარეც თუნდაც ინვესტიციების შემოდინებაზე დაკავშირებული და მორგებულ საკანონმდებლო ბაზა, ქვეყნის ტერიტორიული მდებარეობა (ევროპისა და აზიის გასაყარი).

ქართულ ეკონომიკის რეალობას, რომ თვალი გავუსწოროთ უცხოური ინვესტიციების შემოდინების ჭრილში საქართველო მომზიდველ ქვეყანას წარმოადგენს. თუმცა რეალობას თვალი, რომ გავუსწოროთ ინვესტორები უფრო იაფი მუშახელითა და ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაინტერესებული.

საქართველოში შემოსული და დაბანდებული ინვესტიციების ძირითადი ხვედრითი წილი ენერგეტიკა, კავშირგაბმულობა, სამშენებლო ბაზრები, ტრანსპორტი და ა.შ. მიუხედავათ არაერთი წამახალისებელი პირობებისა სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები რეალურად არ ხორციელდება და მთელი დაბანდებული უცხოური ინვესტიციებიდან მხოლოდ 3% მოდის სოფლის მეურნეობაზე.

ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს როგორც, ფულადი სახსრები, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ასევე, უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება და კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

ინვესტიცია, ერთი მხრივ, ასახავს დაგროვების მიზნებისათვის აკუმულირებული შემოსავლის სიდიდეს, მეორე მხრივ, წარმოადგენს დანახარჯს, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო წინადადების რეალიზაციის შედეგად კაპიტალური ქონების მნიშვნელოვან ზრდას. ამგვარად, არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრება: პირველი, ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე, ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება პირდაპირ კავშირშია ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან და ქვეყნის ეკონომიკის გავითარებასთან. იმისთვის, რომ ქვეყნის ეკონომიკის დარგებში მოხდეს ივესტიციების განხორციელება ადგილობრივი

სეგმენტიდან საჭიროა გარკვეული დანაზოგების შექმნა და ინვესტირება, მაგრამ ისეთი ქვეყნის ეკონომიკიდან გამომდინარე, როგორიც საქართველოა კომპანიების სიმცირიდან გამომდინარე ვერ ხერხდება ადგილობრივი ბაზრის ინვესტირება, ამიტომ საჭირო ხდება უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მათ მუდმივი ზრდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის.

ქვეყანაში ინვესტიციების რაოდენობა გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკის სურათს, თუ რეგულირების ფორმები რამდენად შემსუბუქებულია ინვესტორთათვის. ინვესტიციის რაოდენობა ასევე შეიძლება დამოკიდებული იყოს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სურათზე. ყველა ინვესტორი ცდილობს შეარჩიოს ისეთი გარემო ფულის დაბანდებისთვის, სადაც მის საქმიანობა საფრთხის წინაში არ აღმოჩნდება და საგადასახადო სივცე მის საქმიანობაზე ზეგავლენას არ მოახდენს.

არსებობს მეორე გარემოება რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ინვესტიციაზე, ესაა იაფი მუშახელი და კადრთა კვალიფიკაცია. თუ ქვეყანში კვალიფიციური კადრი დიდი რაოდენობითაა შესაბამისად ანაზღაურებაც ნაკლებია. სწორედ ესეთი საინვესტიციო გარემო იზიდავს ინვესტორს. საქართველოს ბაზარზე ადგილი აქვს ერთგვარ პარადოქსულ გარემოებას მაღალ კვალიფიციური კადრები მოთხოვნადია, მაგრამ მიწოდებაც გვაქვს მოთხოვნაზე მეტი, სადაც რეალურად მოთხოვნას კადრი ვერ აკმაყოფილებს.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური გავითარების ერთ-ერთი წამრატებული აპრობირებული მოდელია, უცხოური ინვესტიციების შემოდინების დროს მიმღები ქვეყანა იღებს შესაძლებლობეს გაეცნოს მიიღოს ახალი ტექნოლოგიები, რომლითაც განვითარებად ქვეყნებში გარკვეული სახის პროდუქცია იწარმოება. უცხოური ინევსტიციების მოზიდვას ყველა მეზობელი ქვეყანა ცდილობს ამიტომ თითოეული ქვეყანა ცდილობს ინვესტორს მოუწყოს ისეთი ბინზეს გარემო სადაც ისე აწარმოოს თავისი საქმიანობა როგორც ადგილობრივი

ინვესტორი. რეალურად ქვეყანაში გატარებული ლიბერალური ეკონომიკური სივრცე ყოველთვის დადებით ზეგავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციებზე.

უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად ესენია: 1) პორტფელური ინვესტიცია; 2) პირდაპირი ინვესტიცია. პორტფელური ინვესტიცია ეს ისეთი ინვესტიცია, რომელიც გულისხმობს  კომპანიის ფასიანი ქაღალდების შეძენას რაც მოკლე ვადასთან ასოცირდება. ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეს ისეთი ინვესტიციაა როდეცსაც უშუალოდ ერთი ქვეყნის ინვესტორი ინვესტიციას ანხორციელებს სხვა ქვეყანაში ან იძენს კომპანიის 10%-ზე მეტ წილს.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა და თავისუფალმა კურსმა დაგვანახა, რომ საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ეცხოური ინვესტიციები უნდა ჩაითვალოს და შესაბამისად უნდა მოხდეს მისი სტიმულირიება .უცხოური ინვესტიციების შემოდინებით აუცილებლად შევძლებთ ადგილობრივი წარმოებების გაფართოებას და შესაბამისად შევძლებთ ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდას მოსახლეობაში.

თანამედროვე  განვითარებულ ეკონომიკურ ოჯახში უფრო და უფრო იზრდება იმ ქვეყნის ინტერესები, რომელიც გლობალიზაციის მაჩვენებელს ერგება, შესაბამისად ევროპის განვითარებული ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ სავაჭრო შეთანხმებებით გააუმჯობესონ საინვესტიციო გარემო უცხოელი ინვესტორებისათვის.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირება, სტატისტიკური მაჩვენებლის ზრდა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შორის კავშირი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში ყურადღება გამხვილებულია უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე და მის რეგულირების ფორმებზე :

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხილვა
- უცხოური ინვესტიციების შემოდინების მარეგულირებელი ორგანოს „საქართველოს'' რეგულაციების ფორმების შესწავლა.
- უკვე არსებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დაჯგუფება შემოსავლების და ადგილობრივი მუშახელის დასაქმების რაოდენობის მიხედვით.
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში საქართველოში უცხოური ინვესტიციების რაოდენობის მგდგომარეობის შეფასება და ანალიზი.
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და მათი რეგულირებაში არსებული პრობლემების ანალიზი და მათი დაძლევის გზები.
- უცხოური ინვესტიცების შემოდინებით გაზრდილი დასაქმების მაჩვენებელი და მშპ ცვლლიება საქართველოში.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების პოტენციალის ზრდა და მისი რეგულირების ფორმები. უცხოური ინვესტორების მოტივაციის ამაღლება და რეგულაციის ფორმების შემსუბუქება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერების სახელმძღვანელოები, კვლევები, შეფასებები, საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ანალიტიკური მასალები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები, ეკონომიკური კვლევები და ანალიზი.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. ნაშრომში შეფასებული და გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების ძირითადი მიმართლებები, აღნიშნულია ინვესტიციების ზემოქმედებით შრომის ბაზარზე მიღებული შედეგები. გამოტანილია კონკრეტული დასკვნები რის საფუძველზეც შემუშავებული და გამოკვეთილია გარკვეული პრიორიტეტები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართულებით.

უცხოური ინვესტიციების შემოდინების მაგალითზე შედგენილია სტატისტიკური მოდელი 1 ადამიანზე მშპ_ს და უმუშევრობის დონის გათვალისწინებით. ნაშრომში გამოვლენილია ასევე რეგულაციის ფორმები, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციების შემოდინებას, ხოლო შემდგომში განხილულია ამ ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

# თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიული საფუძვლები

## 1.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა

ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (investire-შემოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ინვესტიციის განმარტების სხვადასხვა გზები არსებობს: „ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით'' (უ. შარპი); ინვესტიციები არის დანაზოგების გამოყენება ძველის აღსადგენად და ახალი საწარმოო სიმძლავრეების და სხვა კაპიტალური აქტივების შეძენის მიზნით.

დროთა განმავლობაში, ,,ტერმინმა ინვესტიცია" უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და მისი გამოყენება დაიწყო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. დღევანდელი გაგებით კი,,ინვესტიცია" მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას აღნიშნავს (ჭარაია 2015:).

ისტორიის მანძილზე ტერმინმა გარკვეული ცვლილებები განიცადა და მისი გამოყენება დაიწყო სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით. ეკონომიკის ტერმინოლოგიით „ინვესტიცია" მოგების მიზნით განხორციელებული ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაბანდებას ნიშნავს. გრეგორი მენქიუს მიხედვით "კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და წარმმართველია უცხოური ფირმა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ეწოდება."

უცხოური ინვესტიციები, როგორც მოგეხსენებათ, არის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი, კაპიტალის ინვესტიციის დამატებითი წყარო საქონლისა და მომსახურების ეროვნულ წარმოებაში, რასაც თან ახლავს ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ, მართვის უახლესი მეთოდები და ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურისა და დინამიკის გადაცემა. გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის მზარდი

მასშტაბით, იზრდება ინვესტიციების როლი, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ამ თემას აქცევს ჩვენს დროში.

უცხოური ინვესტიციები არის ერთი ქვეყნიდან ექსპორტირებული კაპიტალური სახსრები და ინვესტირებულია სხვადასხვა ტიპის სამეწარმეო საქმიანობის საზღვარგარეთ, სამეწარმეო მოგების ან პროცენტის წარმოების მიზნით.

უცხოურ ინვესტიციას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ფორმა. ამ ფორმების ანალიზისას შეიძლება გამოყენებულ იქნას ინვესტიციების კლასიფიკაციის ზოგადი მიდგომები, რაც მიგვითითებს მათი გამოყოფის მიხედვით ობიექტები, მიზნები, ინვესტიციების პირობები, საინვესტიციო რესურსების საკუთრების ფორმები, რისკები და სხვა ნიშნები. ამასთან, უცხოური ინვესტიციის სპეციფიკა განსაზღვრავს მრავალი კლასიფიკაციის მახასიათებლის გარკვევას, ამ ტიპის ინვესტიციასთან მიმართებაში.

ამრიგად, საკუთრებით, უცხოური ინვესტიციები შეიძლება იყოს საჯარო, კერძო და დაკავშირებული. სახელმწიფო ინვესტიციები არის სახელმწიფო ბიუჯეტების სახსრები, რომლებიც გაგზავნილია უცხოეთში, სამთავრობო ან სამთავრობო სამთავრობო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით. ამ თანხების უზრუნველყოფა შესაძლებელია სახელმწიფო სესხების, საგრანტო სესხების, დახმარების სახით.

## 1.2 ინვესტიციის ძირითადი სახეები და ფორმები

ინვესტიცია სხვადასხვა ტიპისაა. დაბანდების ადგილის მიხედვით ინვესტიცია ორ ნაწილად იყოფა, ესენია: 1) ადგილობრივი და 2) უცხოური. ადგილობრივია ინვესტიცია, რომლის დროსაც ინვესტიცია ხორციელდება რეზიდენტი პირის მიერ, ხოლო უცხოურია ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება არარეზიდენტი პირის მიერ უცხო ქვეყანაში. ინვესტიციები შინაარსობრივად ორ ნაწილად იყოფა ესენია :

კერძო (არასახელმწიფოებრივი) ინვესტიციები არის კერძო ინვესტორების ფონდები, რომლებიც ინვესტიცირებულია ინვესტიციურ ობიექტებში, რომლებიც მდებარეობს მოცემული ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების საზღვრებს გარეთ.

შერეული უცხოური ინვესტიციები ნიშნავს სახელმწიფო და კერძო ინვესტორების ერთობლივად განხორციელებულ უცხოეთში. გამოყენების ხასიათიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები იყოფა: სამეწარმეო და სესხის ინვესტიციად.

სამეწარმეო ინვესტიციები, არის პირდაპირი ან არაპირდაპირი ინვესტიციები სხვადასხვა სახის ბიზნესში, რომლებიც მიზნად ისახავს მოგების გარკვეული უფლების მოპოვებას დივიდენდის სახით. სესხის ინვესტიციები უკავშირდება ნასესხებ საფუძველზე თანხების უზრუნველყოფას, პროცენტის მოპოვების მიზნით.უცხოური ინვესტიციების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციების გამოყოფას. ამ კონტექსტში ხდება,რომ უცხოური ინვესტიციების მოძრაობა აისახება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ქვეყნის გადახდის ბალანსში

უცხოური პირდაპირი ინვესტიცია მოქმედებს, როგორც უცხოელი ინვესტორების ინვესტიცია, ამიტომ მათ აძლევს კონტროლირების უფლებას კომპანიაში საკუთრების წილიდან გამომდინარე, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საწარმოს მართვაში სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

უცხოური კაპიტალის მოზიდვის ღრმა ეკონომიკური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასთან ერთად, ეროვნული ტექნოლოგია დანერგილია წარმოებისა და ბიზნესში. ხოლო ახალი ტექნოლოგიები და ფორმები ფუნდამენტურად განსხვავებულ და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს წარმოქმნიან შიდა მეწარმეობის შესაძლებლობებთან შედარებით. ეს არის მთავარი ფაქტი, რომელიც ემსახურება უცხოური კაპიტალის მასობრივ შემოდინებას და ეროვნული საზღვრების გახსნას.

საქართველოს კანონის „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად კი, ინვესტიცია არის სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციების განმარტებით ინვესტიცია გამოხატავს გრძელვადიან ურთიერთობას ერთი ქვეყნის რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ქვეყნის რეზიდენტი კომპანიის მიმართ. რეალურად მსგავსი გარემოების დროს ინვესტორი იღებს უფლებას დიდი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე. ეკონომიკაში ინვესტიციები სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, ესენია სამომხმარებლო ინვესტიცია, ინვესტიცია ფასიან ქაღალდებში და ეკონომიკური ინვესტიცია.

სამომხმარებლო ინვესტიცია - ეს ისეთი სახლის ინვესტიციაა, როდესაც რეალურად არ არსებობს დაბანდებიდან შემოსავალი პირიქით ნიშნავს უძრავი ქონების შეძენას. სამომხმარებლო ინვესტიციის დროს შესაბამისად არც კაპიტალი იზრდება.

ეკონომიკური ინვესტიცია - ეს ისეთი ინვესტიციაა, რომელიც არ საჭიროებს რაიმე საწარმოების შექმნას მოგების მიზნით. საფინანსო იგივე ეკონომიკური ინვესტიცია ნიშნავს კაპიტალის დაბანდებას მოგების მიზნით ფასიან ქაღალდებში.

ინვესტიცია ბიზნესში - ეს ისეთი ინვესტიცია, რომლის განხორციელების დროს ხდება საწარმოს საბრუნავი მასალის შეძენა მოგების მიღების მიზნით. ეს შეიძლება იყოს მუშახელი საწარმოო საშუალებები და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ იყოფა შემდეგი ფორმების მიხედვით: გრინფილდი და ბრაუნფილდი. გრინფილდის ანუ პირდაპირი ინვესტიცია

არის ინვესტიციის ისეთ ფორმა, რომლის დროსაც ინვესტიციები მიემართება ქვეყნის გარეთ არსებული კომპანიის გასახსნელად. მსგავსი სახის ინვესტიციით დაინტერესებული არიან განვითარებადი ქვეყნები სადაც ხდება სამუშაო ადგილების გაჩენა და ხშირ შემთხვევაში კონკურენციის პირობებში ადგილობრივ ბაზარზე დაბალი ფასებით სტიმულირება. ბრაუნფილდი ეს ინვესტირების ისეთი სახეა, როცა ხდება უცხო კომპანიის შეძენა იმ მიზნით რომ მოხდეს ახალი კომპანიის გახსნა გარკვეული საქმინაობის დასაწყებად. „შერწყმა“ და „შთანქთქმა“ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორი გასხვავებული ფორმაა, შერწყმის დროს ხდება ორი იდეოლოგიით ერთნაირი კომპანიის შეერთება ერთი ბიზნეს სუბიქეტის გასახსნელად და საწარმოო საქმიანობის დასაწყებად. შთანთქმა ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც ხდება ერთი დიდი კომპანიის მიერ შედარებით მცირე კომპანიის შთანთქმა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის ფუნქციონირების ბერკეტია გლობალურ ეკონომიკაში. გლობალურ ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკისათვის სასიცოცხლო ციკლს წარმოადგენს. ამიტომ ყველა განვითარებადი ქვეყანა ცდილობს დიდ დათმობებზე წავიდნენ ინვესტიციების შემოდინებისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყოფა ორ ნაწილად: 1) ჰორიზონტალურ ინვესტიციებად და 2) ვერტიკალურ ინვესტიციებად. ჰორიზონტალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეს ისეთი ინვესტიციებია, რომელიც მიემართება იმ დარგში, რომელშიც კომპანია ოპონირებს სხვადასხვა ქვეყნებში. ჰორიზონტალური ინვესტიციები კომპანიისთვის ორი ფაქტორიდან გამომდინარე არის მომგებიანი მაგ: 1) ინვესტიციების დროს კომპანიის დანახარჯების მინიმიზაციით ახდენს მასშტაბის ეკონომიას და ამავდროულად ზღუდავს სატრანსპორტო დანახარჯებს.ვერტიკალური ინვესტიცია ეს ისეთი უცხოური პირდაპირი ინვესტიციაა, რომლის დროსაც ინვესტორები წარმოების პროცესს რამოდენიმე ნალილად ყოფენ, განათავსებენ

ფილიალებს სხვადასხვა ქვეყნებში,რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების შიდა პროცესს.

ვერტიკალური უცხოური ინვესტიციები თავის მხრივ ორ ნაწილად იყოფა : 1) რეგრესული - ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც ქვეყნის გარეთ არსებული საწარმო ნედლეულს და პროდუქციის შექმნისთვის საჭირო მასალებს აწვდის სათაო ფილიალს. 2) პროგრესული - ეს ისეთი სახის ინვესტიციაა, რომლის დროსაც სათაო ფილიალი ამარაგებს ნედლეულითა და სხვადასხვა მასალებით ქვეყნის გარეთ არსებულ ფილიალებს.

ინვესტიციები კლასიფიცირდება შემდეგი სახის ინვესტიციებად:

რეალური ინვესტიციები (ინვესტიციების რეალური ღირებულება) არის საინვესტიციო საქონლის ღირებულება (ღირებულება-ფასი) მოცულობა საბაზო პერიოდის საბაზრო ფასებში, რაც ასახავს მათ ფიზიკურ (რეალურ) მოცულობაში ცვლილებებს. ინვესტიციების სახის ფასეულობისგან განსხვავებით, რეალური ინვესტიციების მაჩვენებელი არ შეიცავს ე.წ. "ინფლაციური" კომპონენტს და გარკვეულწილად "გაწმენდილია" ფასის ფაქტორზე გავლენისგან. რეალური ინვესტიციების ღირებულება განისაზღვრება ინვესტიციების ფიზიკური მოცულობისა და საბაზო პერიოდის ბაზრის (საავარაუდო) ფასების შეჯამებით.

მოქმედების მიმართულებიდან გამომდინარე, განასხვავებენ რეალური ინვესტიციების შემდეგი სახეობებს:

- საწყისი ინვესტიციები (წმინდა ინვესტიციები), რომლებიც განხორციელებულია საწარმოს შეძენის ან შექმნისთანავე;
- ფართო ინვესტიციები, რომლებიც მიზნად ისახავს პროდუქტიული შესაძლებლობების გაფართოებას;

ინვესტიცია, რაც გაგებულია, როგორც გათავისუფლებული საინვესტიციო ფონდების ინვესტიცია ახალი წარმოების საშუალებების შეძენაში ან წარმოებაში;

მთლიანი ინვესტიციები, მათ შორის წმინდა ინვესტიციები და ინვესტიციები. რეპროდუქციული აქცენტის მიხედვით, გამოირჩევა მთლიანი, გაახლებული და წმინდა ინვესტიციები. მთლიანი ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალის მთლიანი ოდენობას, რომელიც ინვესტირებულია გარკვეული პერიოდის განმავლობაში ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების რეპროდუქციაში. ეკონომიკურ თეორიაში, მთლიანი ინვესტიციის კონცეფცია, როგორც წესი, ასოცირდება ეკონომიკის რეალურ სექტორში კაპიტალურ ინვესტიციებთან. საწარმოს დონეზე, ამ ტერმინს ხშირად ესმით, როგორც ინვესტირებული კაპიტალის ჯამური ოდენობა მოცემულ პერიოდში.

- სარეკონსტრუქციო ინვესტიციებს ახასიათებს კაპიტალის რაოდენობას, რომლებიც ინვესტირებულია ძირითადი აქტივების და ამორტიზირებული არამატერიალური აქტივების უბრალო რეპროდუქციაში. რაოდენობრივი თვალსაზრისით, სარემონტო ინვესტიციები, როგორც წესი, ტოლია ამორტიზაციის ოდენობას გარკვეულ პერიოდში.
- წმინდა ინვესტიციას ახასიათებს კაპიტალის რაოდენობას, რომელიც ინვესტირებულია ძირითადი აქტივების და არამატერიალური აქტივების გაფართოებულ რეპროდუქციაში. ეკონომიკურ თეორიაში ეს ტერმინი ეხება წმინდა კაპიტალის ფორმირებას ეკონომიკის რეალურ სექტორში. რაოდენობრივი თვალსაზრისით, წმინდა ინვესტიცია არის მთლიანი ინვესტიციის ოდენობა, რომელიც შემცირებულია ამორტიზაციის გამოქვითვების ოდენობით საწარმოს ყველა ტიპის ამორტიზირებული კაპიტალის აქტივების გარკვეულ პერიოდში.

მთლიანი და წმინდა ინვესტიცია არის საინვესტიციო საქონლის წარმოების ღირებულება, რომელიც შეცვლის ნახმარი მანქანების, აღჭურვილობის,

სტრუქტურების, ისევე როგორც სხვა წმინდა ინვესტიციების წარმოებას, რომელიც მიმართულია საწარმოო აქტივების გაზრდისკენ. მთლიანი და წმინდა ინვესტიციები მოიცავს მიმდინარე წელს ნახმარი წარმოების აქტივების შეცვლისა და ინვესტიციების ზრდის ხარჯების სრულ რაოდენობას. ასე რომ, თუ ქვეყნის ეკონომიკაში წელიწადში 900 მილიარდი ინვესტიციის საქონელი (ან წარმოების საშუალებები) იწარმოებოდა, მაგრამ არსებული მანქანები, ჩარხები, აღჭურვილობა და სტრუქტურები 600 მილიარდი დოლარით იყო ნახმარი, მაშინ 300 მილიარდი დოლარი დაემატა ეკონომიკას, დაგროვილი სახსრების ღირებულებას. წარმოება. ასე რომ, მთლიანი ინვესტიციები შეადგენს 900 მილიარდ დოლარს, ხოლო წმინდა ინვესტიციებს - 300 მილიარდ დოლარს. ამ ინდიკატორებს შორის განსხვავებაა მიმდინარე წელს ნახმარი წარმოებული საშუალებების ღირებულება და რომელიც მიზნად ისახავს წარმოების პროცესში მთლიანი მოცულობის აღდგენას.

კაპიტალის ინვესტიციის ობიექტები იზიარებს საწარმოს რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს.

რეალური (ან კაპიტალის შემქმნელი) ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალის ინვესტიციებს ძირითადი საშუალებების რეპროდუქციის, ინოვაციური არამატერიალური აქტივების (ინოვაციური ინვესტიციების), ინვენტარის ზრდასა და საწარმოს ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ინვესტიციის ობიექტების ან პერსონალის სამუშაო და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან.ფინანსური ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალურ ინვესტიციებს სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტიციისთვის, ძირითადად ფასიან ქაღალდებში, შემოსავლის წარმოქმნის მიზნით.ინვესტიციულ საწარმოსთან დაკავშირებით გამოიყოფა შიდა და გარე ინვესტიციები.შიდა ინვესტიცია ახასიათებს ინვესტიციას თავად ინვესტიციური საწარმოს მოქმედ აქტივების განვითარებაში.უცხოური ინვესტიცია არის სხვა საწარმოთა უძრავი ქონების ინვესტიცია

ან სხვა ბიზნესის სუბიექტების მიერ გაცემული ფინანსური ინვესტიციის ინსტრუმენტები. ინდუსტრიის ორიენტაციის მიხედვით, ინვესტიციები იყოფა ინდივიდუალურ ინდუსტრიებად და საქმიანობის სფეროებად, მათი კლასიფიკატორის შესაბამისად. ინვესტიციების კლასიფიკაციის ეს ფორმა უკავშირდება ინვესტიციის პროცესის სახელმწიფო რეგულირებას ეროვნული მასშტაბით, აგრეთვე ინდივიდუალური ინდუსტრიების (საქმიანობის სფეროების) ინვესტიციის მიმზიდველობის შეფასებას საწარმოს რეალური და ფინანსური ინვესტიციების პროცესში. განხორციელების პერიოდის მიხედვით, საწარმოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები გამოირჩევა.

მოკლევადიანი ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალურ ინვესტიციებს ერთ წლამდე პერიოდის განმავლობაში. საწარმოს მოკლევადიანი ინვესტიციების საფუძველია მისი მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები.

გრძელვადიანი ინვესტიციები ახასიათებს კაპიტალურ ინვესტიციებს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

დაბანდების მიმართულების მხრივ განასხვავებენ ინვესტიციებს:

1. ფიზიკურ კაპიტალში, კერძოდ, მოწყობილობების, მანქანების, შენობებისა და ინფრასტრუქტურის სახით;

2. ფიქტიურ კაპიტალში, რომელიც გამოხატულია ფასიან ქაღალდებსა და არამატერიალურ აქტივებში (სავაჭრო მარკა, პატენტები, ლიცენზიები და ა.შ.);

3. ადამიანურ კაპიტალში (საწარმოს თანამშრომელთა მომზადება, პერსონალის განვითარება, თანამშრომელთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება);

4. ტექნოლოგიური კაპიტალი, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დაფინანსების ფორმით. (ოქროცვარიძე...2010)

- დაბანდება ფიზიკურ კაპიტალში - ეს ისეთი სახის დაბანდებაა როდესაც ინვესტიცია ხორციელდება მანქანა დანადგარებში, შენობების შესაძენად, ინფრასტრუქტურის შესაცვლელად, რაც კომპანიას გაუადვლებს სამუშაო პროცეს მეტი ამონაგების მისაგებად.
- დაბანდება ფიქტიურ კაპიტალში - ეს ისეთი სახის დაბანდებაა, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება არამატერიალურ აქტივებში ეს შეიძლება იყოს ლიცენზიის შეძენა, პატენტის შეძენა და ა.შ.
- დაბანდება ადამიანურ კაპიტალში - ეს ისეთ სახის დაბანდებაა, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება თანამშრომლების გადამზადებისთვის, პერსონალის განვითარებისთვის და ა.შ.
- დაბანდება ტექნოლოგიურ კაპიტალში - ეს ისეთ სახის დაბანდებაა, როდესაც ინვესტიცია ხორციელდება ინოვაციების ან ტექნიკის განვითარებისთვის კომპანიის ეფექტიანად მუშაობისთვის.

თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში ქვეყნები, რომლის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი საშუალო ნიშნულს ვერ აღწევს ცდილობენ მოიზიდონ ინვესტიციები და ამისთვის უფრო რბილი ეკონომიკური პოლიტიკა აწარმოონ. მე_20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შედარებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ლიბერალიზირებული პოლიტიკა აწარმოონ, რაც ასოცირდება მომავალში განვითარებულ ეკონომიკასა და შემცირებულ სიღარიბის მაჩვენებელთან. დროთა განმავლობაში ბევრმა ქვეყანამ წარმატებიით გაართვა თავი ლიბერალურ ეკონომიკას და დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიცია მოიზიდეს, მაგრამ ბევრმა ქვეყანამ დიდი შედეგი მაინც ვერ მიიღო არასწორორად გატარებული ეკონომიკური პოლიტიკიდან გამომდინარე.

ქვეყნები, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა სიჯანსაღით ვერ გამოირჩევა იძულებული არიან, მოიზიდონ შერბილებული პოლიტიკით უცხოური ინვესტიციები,

რადგან კარჩაკეტილი პირობებით ვერ აღწევენ ტექნიკურ და ინდუსტრიულ განვითარებას.

არსებობს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის ორი ხერხი: პასიური და აქტიური გზა.

პასიური პოლიტიკის გატარების ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკაა, მოიზიდონ ინვესტიციები მიუხედავათ მათი გეოგრაფიული მდებარეობის, მინიმალური შრომის დანახარჯებისა და შერბილებული საკანონმდებლო ბაზისა.

აქტიური პოლიტიკის გატარების დროს ქვეყნები ინვესტიციის მიღების დროს ეფუძვნებიან გამჭირვალე ეკონომიკურ პროცესებს,სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, სტრატეგიული მიზნებისთვის ანხორციელებენ უცხოელი ინვესტორების დაცვას. ინვესტიციის მოზიდვისთვის ძალზედ  მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის შემუშავებული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს შესთავაზოს სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობები პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს.

ჯანსაღი პოლიტიკის შედგენისთვის აუცილებელია გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება, რადგან მასპინძელი ქვეყანა გახდეს მიმზიდველი ინვესტიციების მოსაზიდად. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის სირბილე საკმარისი არაა, რადგან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დროს მასპინძელი ქვეყანა სინქრონულად უნდა ატარებდეს ისეთ პოლიტიკას, როგორიცაა კორუფციის დაბალი მაჩვენებელი, გამჭირვალე პოლიტიკური გარემო და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისათვის, რადგან ინვესტიციების შემოსვლისას რამოდენიმე დადებითი ფაქტორი აისახება ქვეყნის ეკონომიკაში მაგ:  როცა უცხოური კომპანია შემოდის მასპინძელ ქვეყანაში ინვესტიციით, ესეთ დროს კომპანია ხშირ შემთხვეაში იძულებულია მოახდინოს კადრების გადამზადება რაშიც დიდ თანხებს ხარჯავს, ვიდრე

ადგილობრივი კომპანიები.ინვესტიციების შემოდინებას სხვა ეკონომიკური გვერდითი ეფექტებიც გააჩნია მაგ: კონკურენტუნარიანობა ადგილობრივ ბაზარზე; როცა შემოდის უცხოური კომპანია შემოაქვს ახალი ტექნოლოგიები, რის საშუალებითაც ხშირად ხდება ფასთა ცვლილება პროდუქციაზე ადგილობრივ ბაზარზე.ეს ინვესტორებითვის კარგია, მაგრამ აქვს უარყოფითი მხარეც, თუ ფასთა სხვაობა იმ რაოდენობისაა, რომ ადგილობრივი ბაზრები კონკურენციას ვერ უძლებს ესეთ დროს კომპანიები ხშირად იხურებიან. აქედან გამომდინარე ჩნდება თავისუფალი სივრცეები და კვდება ჯანსაღი კონკურენცია. თავისუფალ სივრცეში შესაბამისად ჩნდება უცხოური ინვესტიცია, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ცუდია იმ მხრივ, რომ ფასთა კონკურენცია კვდება. უცხოურ ინვესტიციებს ასევე გააჩნია ვერტიკალური გვერდითი ეფექტი, რაც ითვალისწინებს შუალედური საქონლის შემოდინებას. შუალედური საქონელი შემოდინება კი ხელს უწყობს ქვეყნის წარმოების ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი ასევე დიდია გარე ეფექტებით ეკონომიკის ზრდაში, მაგალითად როცა კომპანიამ ადგილობრივ ბაზარზე ამოწურა თავისი საქმიანობა ისინი ცდილობენ ტექნიკისა და მენეჯმენტის გაცვლით, გარე ეფექტებით მასპინძელ ქვეყანაში მწარმოებლურობის გაზარდას.

# თავი 2. ინვესტიციების როლი ეკონომიკის განვითარებაში

## 2.1 ინვესტიციის მნიშვნელობა და მისი კლასიფიკაცია

ინვესტიციის კონცეფცია მოდის ლათინური ინვესტიციისგან - clothe. ფეოდალიზმის ხანაში ინვესტორიზმი იყო ვასალის შემოღება ფეოდალების მფლობელობაში. უცხოურმა ინვესტიციებმა შესაძლებელი გახადა, რომ ინვესტორმა არამარტო იჯარით აიღოს ახალი ტერიტორიები საკუთარ მმართველობაში, შეძლოს მათი რეგულირება და გამოყენება.

ინვესტორი - არის იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ინვესტირებას ახდენს საკუთარი, ნასესხები ან სხვა ნასესხები თანხებით, ინვესტიციურ პროექტებში. ინვესტორი დაინტერესებულია რისკის შემცირებით. განასხვავებენ სტრატეგიულ და პორტფელის ინვესტორებს.

ინვესტიციები იძლევა შემდეგი ამოცანების გადაჭრის საშუალებას:

1. საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის გაფართოება ფინანსური და მატერიალური რესურსების დაგროვების გამო;

2. ახალი საწარმოების შეძენა;

3. დივერსიფიკაცია ბიზნესის ახალი სფეროების განვითარების გზით.

ყველა ინვესტიცია შეიძლება დაიყოს ორ მთავარ ჯგუფად:

- პორტფელის ინვესტიციები - ინვესტიციები ჯგუფის პროექტებში, მაგალითად, სხვადასხვა საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენა
- რეალური ინვესტიციები - ფინანსური ინვესტიციები კონკრეტული, ჩვეულებრივ, გრძელვადიანი პროექტში და ჩვეულებრივ ასოცირდება უძრავი ქონების შეძენასთან. შესაძლებელია ინვესტიციების შემდეგი

ტიპები: უცხოური, სახელმწიფო, კერძო, სამრეწველო, ინტელექტუალური, მაკონტროლებელი და არაკონტროლირებადი.

ინვესტიციების კლასიფიკაცია შესაძლებელია განაცხადის, გამოყენების ხასიათისა და დროის ფაქტორის გათვალისწინებით. განცხადების ობიექტთან დაკავშირებით:

1. ინვესტიციები ქონებაში (მატერიალური ინვესტიციები). მატერიალური ინვესტიციები ნიშნავს ინვესტიციებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში (მაგალითად, ინვესტიციები აღჭურვილობის, შენობების, მასალების მარაგი).
2. ფინანსური ინვესტიციები - ინვესტიციები ფინანსურ საკუთრებაში, სხვა კომპანიების საქმეებში მონაწილეობის უფლების შეძენა და ბიზნესის უფლებები (მაგალითად, აქციების შეძენა, სხვა ფასიანი ქაღალდები).
3. არამატერიალური ინვესტიციები - ინვესტიციები არამატერიალურ აქტივებში (მაგალითად, ინვესტიციები ტრენინგში, კვლევასა და განვითარებაში, რეკლამირებაში და ა.შ.).

როგორც ჩანს, განაცხადის ობიექტთან მიმართებაში ყველა ინვესტიცია (კერძოდ, ეს კრიტერიუმი ყველაზე საინტერესოა) შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: პორტფოლიო და რეალური, სადაც:

- პორტფოლიო - ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში კურსის შეცვლის შემდგომი თამაშის მიზნებისათვის კურსის შეცვლისა და (ან) დივიდენდის მიღების, აგრეთვე მონაწილეობა ეკონომიკური სუბიექტის მართვაში; პორტფელის ფორმირება ხდება ფასიანი ქაღალდების და სხვა აქტივების შეძენის გზით. პორტფოლი არის ერთად შეკრებილი სხვადასხვა ინვესტიციის ფასეულობების

ერთობლიობა, რაც ინვესტორის სპეციფიკური ინვესტიციის მიზნის მისაღწევად ინსტრუმენტია. პორტფელში შეიძლება შეიცავდეს ერთი ტიპის ფასიანი ქაღალდები (აქციები) ან სხვადასხვა ინვესტიციის ღირებულებები (აქციები, ობლიგაციები, შემნახველი და ანაბრის სერთიფიკატები, იპოთეკური სერთიფიკატები, სადაზღვევო პოლისები და ა.შ.).

- პირდაპირი (რეალური) ინვესტიციები - ინვესტიციები - კერძო კომპანიის ან სახელმწიფოს ინვესტიციები ნებისმიერი პროდუქტის წარმოებაში. რეალური ინვესტიცია ორი განსხვავებული კომპონენტისგან შედგება. პირველი მათგანი არის ინვესტიცია ძირითადი საშუალებებით, ანუ ახლად წარმოებული კაპიტალური საქონლის, მაგალითად, წარმოების მოწყობილობების, კომპიუტერების და სამრეწველო შენობების შეძენა. მეორე კომპონენტი არის ინვესტიცია ინვენტარიზაციებში (მოქმედი კაპიტალი), რაც წარმოების პროცესში გამოსაყენებლად გამოყენებული ნედლეულის მარაგების დაგროვებაა, ან გასაყიდი მზა საქონელი. კომერციული ინვენტარი ითვლება მთლიანი კაპიტალის მარაგის განუყოფელ ნაწილად ეკონომიკურ სისტემაში; ისინი ისეთივე საჭიროა, როგორც კაპიტალი აღჭურვილობის, სამრეწველო შენობების სახით. ასევე, რეალური ინვესტიციები შეიძლება დაიყოს შიდა და გარე: შიდა - ეს არის ინვესტიცია სუბიექტის წარმოების საკუთარ ფაქტორებში დაფინანსების საკუთარი წყაროდან; გარე - ეს არის ინვესტიციის ინსტიტუტების ინვესტიცია ეკონომიკური სუბიექტის ინვესტიციის საჭიროების წარმოების ფაქტორებში.

აზრი აქვს რეალურ ინვესტიციას, როგორც მთლიანი და წმინდა ინვესტიციის კონცეფცია. წმინდა ინვესტიცია თავისთავად არის მთლიანი ინვესტიცია, შემცირებული ძირითადი კაპიტალის აღდგენა. ანუ, წმინდა ინვესტიცია = მთლიანი ინვესტიცია - დაბრუნება.

გამოყენების ხასიათის მიხედვით, ინვესტიციები იყოფა:

1. პირველადი ინვესტიცია, ან ფონდის ან საწარმოს შეძენისთანავე განხორციელებული წმინდა ინვესტიცია;

2. ექსპანსიური ინვესტიცია (ფართო ინვესტიციები), რომლებიც მიზნად ისახავს წარმოების პოტენციალის გაფართოებას;

3. ინვესტიცია, ანუ ინვესტიციის პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული უფასო შემოსავლის გამოყენება გაგზავნით მათ წარმოების ახალი საშუალებების შესაძენად ან შესყიდვაში, საწარმოს ძირითადი საშუალებების შემადგენლობის შესანარჩუნებლად;

4. შემცვლელი ინვესტიცია, რომლის შედეგად არსებული ტექნიკა შეიცვალა ახალით; ინვესტიციები რაციონალიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს ტექნოლოგიური აღჭურვილობის ან ტექნოლოგიური პროცესების მოდერნიზაციას;

5. ინვესტიცია წარმოების პროგრამის შესაცვლელად;

6. ინვესტიცია დივერსიფიკაციაში, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის დიაპაზონის ცვლილებასთან, ახალი ტიპების შექმნასთან და ახალი გაყიდვების ბაზრების ორგანიზებასთან;

7. ინვესტიცია სამომავლოდ საწარმოს გადარჩენის უზრუნველსაყოფად, რომელიც მიზნად ისახავს R&D, ტრენინგი, რეკლამირებას და გარემოს დაცვას; · მთლიანი ინვესტიცია, რომელიც შედგება წმინდა ინვესტიციისა და რეინვესტირებისგან. - სარისკო ინვესტიციები, ან მეწარმეობა - ინვესტიციები ახალი აქციების სახით გაცემული საქმიანობის ახალ სფეროებში, რომლებიც

დაკავშირებულია მაღალ რისკთან. საწარმოს კაპიტალი ინვესტიციებს არ უკავშირდება პროექტებში ინვესტიციის სწრაფი დაბრუნების მოლოდინით. ასეთი ინვესტიციები, როგორც წესი, ხორციელდება კლიენტ კომპანიის კომპანიის აქციების ნაწილის შეძენით ან მისთვის სესხების გაცემით, მათ შორის ამ უკანასკნელის აქციებად გადაქცევის გზით. კაპიტალის სარისკო ინვესტიცია, პირველ რიგში, გამოწვეულია მცირე ინოვაციური ფირმების დაფინანსების საჭიროებით ახალი ტექნოლოგიების სფეროებში. რისკის კაპიტალი აერთიანებს კაპიტალის ინვესტიციის სხვადასხვა ფორმას: სესხი, კაპიტალი. დროის ფაქტორის მიხედვით, ინვესტიციებია: მოკლევადიანი და გრძელვადიანი.

ამრიგად, არსებობს მრავალი განმარტება „ინვესტიციის“ შესახებ, ინვესტიციების შემუშავებული კლასიფიკაციური სისტემა, მრავალი სახის ინვესტიცია, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის მხოლოდ კონკრეტული ტერიტორიის ეკონომიკაში ჩადებული ფული, არამედ ეს არის რეგიონში ნდობის ფასი, ბიზნესის კეთების კომფორტის ხარისხი და ტერიტორიის ზოგადი კეთილდღეობა.

## 2.2. უცხოური ინვესტიციები გლობალურ ეკონომიკაში

დღეისათვის, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების რეალობად იქცა, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნები დაინტერესდნენ. გლობალური მასშტაბით ეკონომიკური კავშირების შექმნა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს წარმოების ეფექტურობა, უზრუნველყოს პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობა და შეამციროს წარმოების ხარჯები. მსოფლიოს თითქმის არცერთი ქვეყანა, რომელსაც საბაზრო ეკონომიკა აქვს, ვერ შეძლებს ეფექტურად განვითარდეს უცხოური ინვესტიციების გარეშე. უცხოური

ინვესტიციების პროცესი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს კაპიტალის ყველაზე ეფექტურ გამოყენებას ჭარბი გამოყენების შემთხვევაში, და, მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა მიაღწიოს პროდუქტიული ძალების განვითარების თვისობრივად ახალ დონეს იმ ქვეყნებში, რომლებსაც განიცდიან კაპიტალის ნაკლებობა. ნასესხები და სამეწარმეო კაპიტალის გამოყენების წყალობით, დღესდღეობით შესაძლებელია განვითარდეს თვისობრივად ახალი დონის განვითარება ბევრ ქვეყანაში, რომელიც მიჩნეული იყო ჩამორჩენილი მე -20 საუკუნის შუა ხანებში. აქედან გამომდინარე, ამჟამად ეროვნული ეკონომიკის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი პირობა არის კომპეტენტური პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებში უცხოური ინვესტიციების როლთან და ადგილთან დაკავშირებული საკითხების რელევანტურობა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულების განმავლობაში მკვეთრი გააქტიურების ფონზე გაიზარდა. უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად პოლიტიკა. XX საუკუნის ბოლო მეოთხედისთვის. წლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 70-ჯერ მეტით, 2007 წლისთვის მიაღწია 1,7 ტრილიონს. დალი ეს ტენდენცია გაგრძელდა 2009 წელს. 1997 წლის კრიზისის საწინააღმდეგოდ, რომელიც ძირითადად აზიის განვითარებად ქვეყნებს შეეხო, მიმდინარე კრიზისი წარმოიშვა და განვითარებული ქვეყნები ყველაზე მწვავე ფორმით იმოქმედა. ექსპერტების აზრით, 2008 წელს უცხოური ინვესტიციები ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და ფინეთი, 2007 წელთან შედარებით, 33% -ით დაეცა. ამავე დროს, ექსპერტების აზრით, სწრაფად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მთლიანობაში ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში, შარშან აღინიშნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. კერძოდ, რუსეთში იგი 17.6% შეადგენდა 2007 წელთან შედარებით. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო ინდუსტრიული წარმოებისა და მსოფლიო

ვაჭრობის ზრდის ტემპებს, რომელთა მოცულობა ბოლო 50 წლის განმავლობაში გაიზარდა, მხოლოდ 6 და 25 ჯერ, შესაბამისად.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს გლობალიზაცია სთავაზობს სწრაფ განვითარებას და დიდ შესაძლებლობებს საერთაშორისო ეკონომიკაში.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან განვითარებადმა ქვეყნებმა ლიბერალიზაციის საშუალებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადის მობილიზება შეძლეს, რადგან ინვესტიციების შემოდინება ნიშნავს და განიხილება როგორცახალი სამუშაო ადგილები, განვითარებული მოდერნიზებული ეკონომიკური გარემო და ა.შ. მიუხედავათ ბევრი დადებითი კუთხისა ინვესტიციების შემოდინებას გააჩნია ასევე უარყოფითი მხარეებიც.

- გლობალიზაცია და ეკონომიკური ზრდა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით მხარედ განიხილება მისი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ზრდაზე. ეკონომიკურ ზრდაში შეიძლება განიხილოს ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდა. გლობალიზაციის პირობებში ინვესტიციების შემოდინების დროს, ქვეყანას საშუალება ეძლევა საგარეო ვაჭრობის ზრდით მოახდინოს იტეგრაცია გლობალურ ეკონომიკაში.
- ცხოვრებისეული პირობების განვითარება - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ჩარჩოდ, ცხოვრებისეული პირობების განვითარების თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ახალი ტიპის დასაქმება, შედარებით მაღალი სახელფასო ანაზღაურება, პროგრესული მენეჯმენტი და გლობალურ ბაზარზე თავის დამკვიდრება.
- შემოდინების ეფექტი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დადებით ეფექტია განვითარებული ტექნოლოგიების

შემოდინება მეტი პროდუქტიულობისთვის. ეკონომიკის განვითარება პირდაპირ კავშირშია ტექნოლოგიების განვითარებასთან.

- კონკურენციის დონე - უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში ზრდის კონკურენციის დონეს. როცა რომელიმე კომპანია ინვესტიციით შემოდის მასპინძელ ქვეყანაში ის ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ კომპანიებს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი კონკურენციის პირობები გვაძლევს ფასთა სხვაობას, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის ცხოვრებისეულ პირობებზე.
- უარყოფითი ეფექტი - უცხოურ ინვესტიციებს ასევე შეიძლება ქონდეს უარყოფითი ეფექტი სამამულო კომპანიებისთვის. ქვეყანა სადაც ინვესტიცია ხორციელდება ბაზრის ასათვისებლად ინვესტორები ცდილობენ პროდუქციის დაბალი ღირებულებით გაზარდონ თავიანთი წილი ადგილობრივ ბაზარზე. უცხოური კომპანიისთვის პროდუქციაზე ფასის შემცირება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან უცხოური ინვესტიციებით მოქმედი კომპანიები დაბალი ზღვრული დანახარჯებით ადვილად ახერხებენ წარმოების მოცულობისა და პროდუქციის რაოდენობის ზრდას. შესაბამისად ადგილობრივ კომპანიებს უწევთ წარმოების მოცულობის შემცირება, რაც ზრდის მათ ფიქსირებულ დანახარჯებს. უცხოური კომპანიების მიერ ადგილობრივი კომპანიების გამოდევნა შეიძლება მოხდეს ორი მიზეზით. პირველი მიზეზი შეიძლება იყოს უცხოელი ინვესტორების კომპანიის მაღალი პროდუქტულობა და ხარისხი, ხოლო მეორე მიზეზი შეიძლება იყოს უცხოელი ინვესტორების უკეთესი წვდომა გარე ბაზრებზე.

ჩემი შეხედულებიდან გამომდინარე გლობალური ეკონომიკური მოვლენები გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან

სწორედ ამ მოვლენების პროცესში ხორციელდება ცოდნისა და ტექნიკა-ტექნოლოგიების გაზიარების პროცესი. გლობალური ეკონომიკური პროცესი ასევე ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას, ექსპორტ-იმპორტის პროცესებს და ა.შ.

წარმოვიდგინოთ, რომ არ ყოფილიყო გლობალური მოვლენები, როგორ განვითარდებოდა მსოფლიო ეკონომიკა? ჩემი ვარაუდით, რომ არ მომხდარიყო ეკონომიკური კავშირები, სავაჭრო პოლიტიკის ცვლილება და ეკონომიკური გლობალური კავშირები, დღესდღეობით მივიღებდით ნაწილობრივ განითარებულ მსოფლიოს. ჩემი შეხედულებით სწორედ გლობალური მოვლენების დაჩქარება მოხდა უცხოური ინვესტიციებით. ფართო სპექტრით გლობალიზაცია შეიძლება ნებისმიერ საკითხს დავუკავშიროთ, მაგრამ ჩემი აზრით უფრო ეკონომიკურ მიმართულებას ექვემდებარება.

სწორედ გლობალიზაციის შედეგია ის, რომ ვზივართ საქართველოში და ვუკავშირდებით მთელ მსოფლიოს, გვყავს წამყვანი ბრენდის ავტომობილები და აქსესუარები, შეგვიძლია გადავფრინდეთ ერთი ქვეყნიდან მეორეში და ა.შ.

# თავი 3: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საქართველო

## 3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის

საქართველოსთვის უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობიდან და ცხოვრების პირობების გათვალისწინებით, რთულია დანაზოგების შექმნა, რადგან მოსახლეების დიდ ნაწილს გააჩნია რესურსი, რომელიც ცხოვრებისეული პირობებისთვის ჭირდება. უცხოური ინვესტიციების შემოდინება ხდება უცხოურ ვალუტაში შესაბამისად ხელს უწყობს ლარის კურსის სტაბილურობას და გამყარებას. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინება ლიბერალური პოლიტიკიდან გამომდინარე დიდ სირთულეებს არ წამოადგენს, რადგან კაპიტალის გადაადგილებაზე რეალურად კონტროლი არ ხორციელდება. ასევე ინვესტიციების შემოდინებას ხელს უწყობს უვიზო მიმოსვლა დაახლოებით 90 ქვეყანაში. ისევე როგოც ყველა ქვეყანაში საქართველოშიც მიღებულია უცხოური ინვესტიციების შესახებ ძირითადი და მნიშვნელოვანი კანონები მაგ:

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ (1991 წელი)
- საქართველოს კანონი საინვესტიციო სააგენტოს შესახებ (2002 წელი)
- საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ (2006 წელი)
- საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ (2003 წელი)

დამოუკიდებლობის შემდგომ ქვეყანამ დაიწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით შერბილებული ეკონომიკური რეგულაციების გატარება. სწორედ ამ დროს ამოქმედდა 1991 წლის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“.

საქართველოში 2005 წელში ამოქმედებული საგადასახადო კოდექსის ძირითადი მიზანი სწორედ ლიბერალური საინვესტიციო გარემოს შექმნა იყო. საქართველოს საგადასახადო კოდექსი სწორედ ამ მიზნით გადაიხედა და შემსუბუქდა უცხოელი ინვესტორებისთვის. ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმების შედეგად გაუქმდა ორმაგი დაბეგვრის სისტემა. სწორედ 2005 წლიდან მოყოლებული ამ ვითარების გათვალისწინებით ინვესტორთა შემოსვლამ ეკონომიკურ მდგომარეობაზე მკვეთრად აისახა. ეკონომისტთა აზრი ამ ვითარებიდან გამომდინარე ორად გაიყო, ნაწილი ეკონომისტები ფიქრობდენ, რომ ინვესტიციების ზრდა გამოიწვია შემსუბუქებულმა საგადასახადო გარემომ, ხოლო მეორე ნაწილი მყარ პოლიტიკურ გარემოსკენ იხრებოდა. საქართველოში 2006-2008 წლის მონაცემებით საინვესტიციო ბუმი იყო, სხვა წლებთან შედარებით ყველაზე მეტი დაბანდება სწორედ ამ პერიოდისთვის განხორციელდა. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მსოფლიო დონეზე ინვესტიციების რაოდენობა შემცირდა.

საინვესტიციო გარემოს ცვლილება ქვეყნის ეკონომიკას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს და იძულებულს ხდის ქვეყნის ეკონომიკურმა პოლიტიკამ რადიკალური ცვლილებები განიცადოს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიცია თუ საწარმოო კაპიტალში მისი დაბანდება 10%_ზე მეტია. ეკონომიკური თეორიის თანახმად ინვესტიციად შეიძლება ჩაითვალოს აღებული ვალდებულებები, რისი საშუალებითაც ხორციელდება ტექნიკა-ტექნოლოგიების, არსებული საწარმოების გაფართოება, რაც დასაბამი შეიძლება იყოს დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდის ან პროდუქციის მოცულობის ზრდის.

პირდაპირი უცხოური ივესტიციების მოცემულობის თუ გადავხედავთ თვალნათლივ დავინახავთ გარკვეული მოცემულობის განმავლობაში ინვესტიციები ხასიათდებოდა როგორც აღავალი ასევე დაღმავალი ტრენდით. შეიძლება ვიმსჯელოთ ორ მიმართულებაზე: დაღმავალი ტრენდი ესაა სოფლის მეურნეობა ხოლო აღმავალი ტენდი ესაა საფინანსო სფერო. ჯ.დანინგის ინვესტიციების მოზიდვის თეორია 4 ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს:

1. რესურესების მაძიებლები ინვესტორები - ხასიათდებიან კაპიტალდაბანდებებით საშუალო-დაბალტექნოლოგიურ დარგებში;

2. ეფექტიანობის მაძიებლები - ხასიათდება მაღალ ტექნოლოგიურ დარგებში განხორციელებული ინვესტიციებით;

3. ბაზრის მაძიებლები - ესეთ დროს ინვესტორები ცდილობენ ისეთი ბაზრის მოძიებას, რომლის ათვისება რეალურად დიდ სირთულეას არ წარმოადგენს;

4. სტრატეგიული აქტივების მაძიებლები - ესეთი ინვესტიციების დორს ინვესტორების გათვლაა სამომავლო პერსპექტივებზეა დამოკიდებული.

ჩემი შეხედულებით უცხოური ინვესტიციების შემოდინების რაოდენობა პირდაპირ კავშირშია ერის განვითარებასთან, რადგან სწორედ ინვესტიციების შემოდინება ამსხვრევს სიღარიბის ბარიერებს მოსახლეობაში. 1997-2004 წლებში როდესაც საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა განვითარების პირველ ეტაპებს გადიოდა სწორედ ამ პერიოდში ინვესტიციების შემოდინეის რაოდენობა ათეული მილიონი დოლარიდან ასეულ მილიონ დოლარამდე მეორყეობა. სწორედ აღნიშნული ინვესტიციები ამ პერიოდისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის 5%_ს შეადგენდა. ეს ინვესტიციები კი იმ პერიოდისათვის იყო ბაქო თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენების მშენებლობისას ჩადებული ინვესტიცია, ხოლო უმნიშვნელო

ინვესტიციებს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი. ჩემი შეხედულებით 2003 წლამდე სანამ რეალურად არ შეიცვალა ინვესტიციების შემოდინების რეგლამენტი ქვეყანას რეალურად არ გააჩნდა ეკონომიკის სტატისტიკური მაჩვენებელი. 2003 წლის შემდგომ როცა შემსუბუქდა საგადასახადო სისტემა და უცხოელი ინვესტორები მოექცენ იმ კანონმდებლობის ქვეშ, რასაც ითვალისწინებდნენ ადგილობრივი ინვესტორები სწორედ ამ დროს ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო საინტერესო გახდა. 2007 წლიდან საქართველოს საინვესტიციო იმიჯი მკვეთრად გაიზარდა და დაახლოებით ინვეტიციების რაოდენობამ 1,2 მილიარდ დოლარამდე მიაღწია, რაც იმ პერიოდისათვის რეკორდულ მაჩვენებელს აღწევდა.

რეალურად საინვესტიციო გარემოს გასაჯანსაღებლად ერთ_ერთი აუცილებელი მოთხოვნაა ლიბერალური საგადასახადო სისტემა. ვარდების რეოლუციის შემდგომ 2004 წლიდან შემცირდა საგადასახადო განაკვეთები, ზოგიც კი საერთოდ გაუქმდა. 2004 წლისთვის 21 გადასახადიდან მხოლოდ აქტიური 4 გადასახადი დარჩა. ბევრის წარმოდგენით და ფიქრით შეიძლება ამას გამოეწვია ბიუჯეტის შემცირება და ქვეყნა ეკონომიკური კრიზისის წინაშე დაეყენებინა, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2004 წელს საგადასახადო შემოსავლების საშუალებით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 1,8 მილიარდი ლარი, ხოლო 2004-2012 წლის მონაცემებით ბიუჯეტში მხოლოდ 20%_იანი ნომინალი შეადგინა.

საინვესტიციო გარემოს ცვლილების შემდგომ რეალურად ინვესტიციების რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ ამ ყველაფერს ერთად თან ერთვოდა ქვეყნის შიგნით სახემწიფო ბალანსზე არსებული ქონების პრივატიზაციაან იჯარით გაცემა. ოფიციალური მონაცემებით ვარდების რეოლუციის შემდგომ 2011 წლამდე 5757 ობიექტი გასხვისდა საიდანაც სახელმწიფომ 2,927მლრდ ლარი შემოსავალი მიიღო. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ომის შემდგომ ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად

ხდებოდა გარკვეული რაოდენობის ობიექტების გასხვისება, მაგრამ პრივატიზაციიდან მიღებული თანხების ოდენობა დროდადრო უფრო მცირდებოდა.

ინვესტიციების შემოდინებისთვის ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასა და საინვესტიციო გარემოს გარდა მნიშვნელოვანი გაქტორია მსოფლიო ეკომიკური მდგომარეობა. მაგ: 2007 წლისა და 2009 წელის შორის მსოფლიო ბაზარზე ინვესტიციების დაბანდების მოცულობა დაახლოებით 50%_ით შემცირდა. 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე ზრდის ტენდენციაა, მაგრამ ძალიან უმნიშვნელო მაჩვენებელით.

2007 წლის ტენდენციების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას არც საქართველო ჩამორჩა და დაახლოებით 1.2 მილიარდი დოლარი შემოვიდა ინვესტიციის სახით. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ინვესტიციების რაოდენობამ საგრძნობლად იკლო და 2008-2009 წლის მონაცემებით 650 მილიონ დოლარამდე ჩამოვიდა. 2009 წლის შემდგომ ყველაზე დიდი მოცულობა დაფიქსირდა 2014 წელს 1,8 მილიარდი დოლარი რაც ბუნებრივი აირის მილლსადენების გაყვანას უკავშირდება. საქართველოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1991 წლიდან 2019 წლამდე დაახლოებით 22,5 მილიარდის ინვესტიცია შემოვიდა საქარართველოში. სწოერედ ჩემი დიდი ინტერესი გამიწვია იმ ფაქტმა, რომ ამ დროის განმავლობაში ეკონომიკის რომელი სეგმენტი იყო ყველაზე მეტად ინვესტიციით დათვირთული. 28 წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ დღემდე ყველაზე მეტი ინვესტიცია 4,3 მილიარდი დოლარი ტრანსპორტირებასა და კავშირგაბმულობაზე მოდის. მეორე ადგიზე ენერგეტიკა, რომელიც დაახლოებით 3 მილიარდ დოლარმდე ითვლის. ყველაზე ნაკლები ინვესტიციები განხორციელდა სოფლის მეურნეობაში დაახლოებით 150 მილიონ დოლარამდე.

გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველო ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წამოადგენს ინვესტიციეის მოზიდვის თვალსაზირისით.

ქვეყანში ინვესტიციების დაბანდება სასურველი ეკონომიკური პოლიტიკის გარდა იმიტომ არის მოსახერხებელი, რომ წარმოადგენს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინს. განსაკუთრებით ინვესტიციების  გამოცოცხლება 2003 წლიდან იწყება რასაც ადასტურებს არაერთი საერთაშორისო კვლევები. საქართველო ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა ინვესტიციების დაბანდებისთვის  ამას აღიარებს, როგორც ჩვენი ქვეყანა ასევე მსოფლიო ბანკი, მაგრამ მიუხედავათ ამ ყველაფრისა გვაქვს ბევრი დაუძლეველი გამოწვევები.

მსოფლიო ბანკის კვლევების თანახმად საქართველო ლიდერი ქვეყანაა კომპანიის რეგისტრაციის პროცედურის სიმარტივით და თითქმის  დახარჯული დროით არ ჩამოუვარდება ისეთ ქვეყნებს როგორიცაა:  კანადა, რუანდა და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა არ ზღუდავს ისეთი სახის ინვესტიციებს როგორიცაა ნავთობის და გაზის მიმართულება, სოფლის მეურნეობა, კავშირგაბმულობა, საბანკო სექტორი, მსუბუქი მრეწველობა, ჯანდაცვა, მშენებლობის სექტორი ტურიზმი და ა.შ.

საქათველოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკისა და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გააჩნია  ყველა პირობა, რომ ინვესტიციების მოზიდვის არეალი დიდ მასშტაბზე გაიტანოს. დღესდრეობით საქაღველოს გააჩნია 108 კურორტი, 15000_ამდე ისტორიული ძეგლი, 7 ეროვნული პარკი, 2400_ამდე მინერალური წყალი, 182 საკურორტო ადგილი, სამკურნალო აბანოები, კარსტული მღვიმეები და ა.შ.

ჩემი გათველბით საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის 30-40% აქვს ათვისებული, ხოლო დანარჩენი საინვესტიციო გარემო აუთვისებელია. მე როგორც აჭარის რეგიონის წარმომადგენელი მოხარული ვარ აჭარაში მიმდინარე პროცესებით. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და საინვესტიციო შემოსავლების დაახლოებით 30% სწორედ აჭარის რეგიონზე მოდის. ტურისტული პოტენციალის გარდა აჭარის

რეგიონი გამოირჩევა ენერგო რესურსებით. სწორედ მინდა ავღნიშნო ბოლო დროს გამოკვეთილი მოთხოვნები ინვესტიციისთვის, ენერგეტიკის მიმართულებით. ჰოლანდიურმა კომპანიამ სწორედ ამ მიმართულებით დაახლოებით 7 მილარდამდე ინვესტიცია დააბანდა სადაც 500 ამდე ადგილობრივი მოსახელობა დასაქამდა.

ქვეყნის დიდი ინტერესი გამოწვეულია ასევე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ მისი სტრატეგიული მდებარეობა უზრუნველყოფს ნავთობისა და გაზის შემოდინებას მეზობელი ქვეყნებიდან შავ ზღვამდე. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ესაზღვრება ის ქვეყნები, როგორიცაა მაგ: რუსეთი, აზეირბაიჯანი, თუქრეთი, სომხეთი, რომლებიც როგორც მომხმარებელი ასევე გამსაღებლები არიან ამ ენერგო რესურსების. აქედან გამომდინარე სწორედ ძალიან დიდ ინტერეს იწვევს როგორც მომპოვებელი ქვეყნები ასევე შემსყიდველები.

ჩემი შეხედულებებიდან გამომდინარე, ჩემი აზრით მთავრობას ჭირდება განახლებული მეთოდები, რაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ქვეყნის მშპ_სთან. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ინფლაციის მაჩვენებელი  მაღალია, რაც თავის მხრივ მოითხოვს საგანგებო ზმოების მიღებას. ეს საგანგებო ზომები კი შეიძლება იყოს გადასახადების გაზრდა ლარის ამოღების მიზნით ან ინვესტიციების შემოდინებისთვის შერბილებული პოლიტიკა ლარის გასამყარებლად.

მიუხედავათ იმ ფაქტისა, რომ როგოც მთავრობის წევრები აღნიშნავენ საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში დაწინაურდა, ჩემი აზრით ასე არ არის. ბოლო წლების მონაცემებით საქართველოში ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 2016-2018 წლებთან შედარებით 2019 წელს ინვესტიციების შემოდინებამ 11% მოიმატა, ხოლო საშუალო  ზრდის ტემპი 3,225%_ია, რაც არ არის საიმედო შედეგი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

ჩემი შეხედულებით პირველ რიგში უნდა გავერკვეთ ერთ საკითხში, თუ რა კრიტერიუმებით აფასებენ ინვესტორები საინვესტიციო გარემოს და რა საინვესტიციო ინდიკატორებს ითვალისწინებენ.

საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე ყველა ინვესტორი ეძებს ისეთ ბაზრებს სადაც პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილურია და ხშირად არ იცვლება საინვესტიციო კანონმდებლობა. ყველა ინვესტორი ცდილობს თანხები დააბანდოს ისეთ ქვეყანში, სადაც კორუფციის დონე დაბალია, შიდა ბაზარი მოცულობითია და ჩადებული ინვესტიციებიდან შესაძლებელია თანხის უკუგება.

მხოლოდ შერბილებული ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების და ინვესტიციების შემოდინებას ვერ უწყობს ხელს. გრძელვადიანი ეკონომიკის პირობებში ასევე საჭიროა დიდი ინვესტიციების განხორცილება ადამიანური კაპიტალის ამაღლებისთვის. ეს ინვესტივცია შეიძლება იყოს გადამზადების კუთხით შექმნილი ორგანიზაციები ან განათლების სისტემაში ჩადებული თანხა სისტემის რეფორმისთვის და გაძლიერებისთვის.

თუ ქვეყანაში განათლების დონე გარკვეულ მაჩვენებელს არ მიაღწევს, ინვესტიციის მოზიდვა მარტივად არ იქნება შესაძლებელი, რადგან ყველა ინვესტორისთვის კადრის მომზადება დამატებით ხარჯს წარმოადგენს. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის აუცილებლობას წარმოადგენს შემდეგი მოვლენები:

1) წარმოებული პროდუქცია - თუ ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის რა მაჩვენებელი მიდის ექსპორტში და რამდენად მერყეევია დროთა განმავლობაში ექსპორტის მაჩვენებელი.

2) მთლიანი შიდა პროდუქტის ზღვარი - თუ რა მოცულობის პროდუქტი გაიანგარიშიება ერთ სულ მოსახლეზე. დროთა განმავლობაში მასზე გავლენას ხოარ ახდენს ინფლაცია, სავალუტო კურსები და ა.შ.

3) მოსახლეობის სოციალური დონე - ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტორებისთვის, რადგან ინვესტორი ყოველთვის ცდილობს თავი აარიდოს ისეთ ქვეყნებს ვისი ეკონომიკაც რეგრესს განიცდის.

## 3.2 საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის აქტუალურობა

საქართველოს ეკონომიკური გავითარებისა და წინსვლისთვის აუცილებელი და სასიცოცლო მოვლენაა უცხოური ინვესტიციების შემოდინება. რეალობას რომ გადავხედოთ სტატისტიკური მონაცემებით ინვესტიციების შემოდინება გარკვეულ პერიოდში ცვლილებებს განიცდიდა. ქართულ ეკონომიკაში გვქონდა პერიოდი როცა ინვესტიციები დიდი რაოდენობით შემოდიოდა ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მცირდებოდა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ასახულია ინვესტიციების შემოდინება 2017-2019 წლის მონაცემებით:

დიაგრამა 1.1




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვეტიციების მოცულობამ 2019 წლის I მეოთხედში 281,1 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის I კვარტლის მონაცემებზე 6,3 პროცენტით ნაკლებია. საქართველოს საინვესტიციო გარემო, რომ შევაფასოთ ამისთვის საჭიროა იმის გაანალიზება, რომლი კომპანიები ანხორციელებენ ჩვენს ქვეყანაში ინვესტიციებს. საქსტატის მონაცემებით დასახელდა 20 უმსხვილესი კომპანია საქართველოში ესენია:

- შპს მტკვარი ენერჯი - საქმიანობა: ელექტროენერგიით მომარაგება, დისტრიბუცია, რეალიზაცია ელექტროენერგიის წარმოება;

- შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი - საქმიანობა: სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;

- აიდიეს ბორჯომი - საქმიანობა: მინერალური წყლებისა და სხვა უალკოჰოლო სასმელების წარმოება ;

- შპს მაგთიკომი - საქმიანობა: მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი ;

- შპს ყაზტრანსგაზ-თბილისი - საქმიანობა: გაზგამანაწილებელი კომპანიები ;

- GIG (საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი) – საქმიანობა: საწარმოების მართვა, საინვესტიციო კომპანიები, ჰოლდინგური კომპანიები;

- ფოთის საზღვაო ნავსადგური - საქმიანობა: ნავსადგურებისა და სატრანსპორტოსაექსპედიციო სააგენტოების მომსახურება;

- სს RMG Copper - საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეული;

- შპს RMG Gold - საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეული;

- BP ჯგუფი - საქმიანობა: ენერგოტრანსპორტირება და საწვავის მიწოდება;

- შპს ჯორჯიან მანგანეზი - საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეულისამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;

- შპს ტოიოტა კავკასია - საქმიანობა: ავტობიზნესი, დისტრიბუცია;

- შპს ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი-ს მუდმივმოქმედი ფილიალი - საქმიანობა: სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;

- შპს აჭარისწყალი ჯორჯია - საქმიანობა: ენერგეტიკა, ენერგორესურსები და სასარგებლო წიაღისეულიფინანსები;

- ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთის ფილიალი საქართველოში - საქმიანობა: სამშენებლო პროდუქცია, მშენებლობა და უძრავი ქონება;

- ერთობლივი საწარმო აზფენ-ის საქართველოს ფილიალი - აზერბაიჯანული კომპანია საქართველოში საქმიანობა: მშენებლობა ;

- სს Hualing international special economic zone - საქმიანობა: ჰუალინგის სპეციალური ეკონომიკური ზონა - ვაჭრობა, საინვესტიციო მომსახურება, სასტუმრო ;

- შპს საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი - საქმიანობა: თანაინვესტირების ფონდი ტურიზმის ფონდი ;

- სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი - საქმიანობა: ფარმაცევტული საქმიანობა;

- შპს ალიუდ იუნიტას ჯორჯია - საქმიანობა: სამორინე;

ზემოთ აღნიშნული ინფორმაციით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აღნიშნული ინვესტიციები ძირითადად ხორცილედება ენერგეტიკაში და მშენებლობაში, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოდის სხვადასხვა დარგებზე.

სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით ინვეტსიცების შემცირების ორი მთავარი მიზეზია დასახელებული: მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროცედურის დასრულება და რამოდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადასვლა.

დიაგრამა 1.2




წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

https://www.geostat.ge

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს 2010-2019 წლის უცხოური ინვესტიციების შემოდინების  დინამიკას საქართველოში. მოცემული გრაფიკი გვიჩვენებს, რომ რეალურად ინვეტსიცების მატება 2010 წლიდან იწყება რასაც ხელს უწყობდა იმ პერიოდისათვის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. მოცემული დიაგრამიდან ჩანს რომ გასააკუთრებული მაჩვენებელი ინვესტიციების შემოდინების

იყო 2017 წლის მესამე კვარტალში. 2018 წლის მონაცემები შედარებით შესუსტდა რადგან იმ პერიოდისათვის ირლანდიურმა კომპანიამ დაასრულა თავისი საქმიანობა და გავიდა საქართველოს საზღვრებიდან. 2019 წელს ინვესტიციების შემოდინება შესუსტდა ცუდად წარმათული პოლიტიური სურათიდან გამომდინარე, რადგან ტურისტული პოტენციალი რეალურად ზახულის პერიოდში მინიმალურ დონემდე დავიდა, რამაც ინვესტიციების შემოდინებას ხელი შეუშალა.

დიაგრამა 2.1




წყარო საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახური.

https://www.geostat.ge

მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ინვესტიციების შემოდინებას კომპონენტების მიხედვით. რეალურად ინვესტიციების შემოდინების თვალსაზისით არაერთ კომპონენტში ყველაზე წარმატებულ წელად სტატისტიკურად გამოვვლენილია 2017წელი.მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს რომ 2017 წელში სააქციო კაპიტალი 1091302,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რეინვესტიცია 616590,3 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა ხოლო სავალო ვალდებულება 254720,5 მლნ აშშ დოლარს. 2018 წლის მონაცემებით აღნიშნული ინვესტიციები შემცირდა სააქციო კაპიტალი 803443,2 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, რეინვესტიცია 437203,6 მლნ აშშ დოლარს, ხოლო სავალო ვალდებულება 24859,4 მლნ აშშ დოლარს. რაც შეეხება 2019 წელს საქციო კაპიტალი შეადგენდა 339714,8 მლნ აშშ დოლარს, რეინვესტიცია 435820,6 მლნ აშშ დოლარს. ხოლო სავალო ვალდებულება 133473,8 მლნ აშშ დოლარს.

2019 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემებით I კვარტალში უმსხვილესი ინვესტორი საქართველოში ირლანდიაა 133 მილიონი დოლარით, მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო 42,4 მილიონი დოლარი, ხოლო მესამეზეა აშშ 22,5 მილიონი დოლარი.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წლის I კვარტალში 75.1 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორში განხორციელდა და 139.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49.7 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 42.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტის სექტორი 28.6 მლნ.აშშ დოლარით.

**ცხრილი№4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)**

| | 2017 | | | | | 2018* | | | | | 2019* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | სულ | I | II | III | IV | სულ | I |
| **სულ** | 393.6 | 355.8 | 622.8 | 522.2 | **1 894.5** | 300.1 | 390.4 | 344.7 | 197.1 | **1 232.4** | 281.1 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | |
| სხვა კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურება | 3.0 | 7.0 | 7.5 | 7.2 | **24.7** | 11.4 | 11.8 | 11.9 | 5.2 | **40.2** | 139.8 |
| საფინანსო სექტორი | 76.3 | 2.0 | 71.5 | 152.9 | **302.6** | 111.1 | 64.3 | 18.3 | 84.2 | **277.9** | 42.7 |
| ტრანსპორტი | 116.0 | 118.3 | 164.7 | 73.7 | **472.6** | 66.4 | 65.2 | 64.8 | 13.5 | **209.9** | 28.6 |
| სასტუმროები და რესტორნები | 7.1 | 25.1 | 29.7 | 10.3 | **72.2** | 25.4 | -5.5 | 36.2 | 16.2 | **72.3** | 25.4 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 13.0 | 18.3 | 43.9 | 23.4 | **98.6** | 40.8 | 24.2 | 56.7 | 20.6 | **142.3** | 21.0 |
| კავშირგაბმულობა | 11.1 | -2.7 | 7.7 | 0.8 | **17.0** | -65.7 | 13.4 | 9.5 | 7.6 | **-35.2** | 10.2 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 12.0 | 14.1 | 13.2 | 12.5 | **51.8** | 22.3 | 17.7 | 14.4 | 12.3 | **66.7** | 8.4 |
| მშენებლობა | 54.4 | 66.8 | 117.1 | 44.9 | **283.1** | 69.2 | 29.4 | 6.5 | -1.4 | **103.6** | 8.3 |
| სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 0.5 | 4.0 | 4.8 | 3.0 | **12.4** | -0.7 | 6.9 | 4.8 | 4.9 | **15.9** | 3.4 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება | 0.1 | 0.8 | 1.8 | 4.6 | **7.2** | 8.5 | 1.6 | 1.3 | 1.8 | **13.2** | 0.8 |
| დანარჩენი სექტორები | 100.1 | 102.3 | 160.8 | 189.1 | **552.3** | 11.5 | 161.4 | 120.4 | 32.4 | **325.6** | -7.6 |

წყარო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსხური

https://www.geostat.ge

ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ცალკეული სექტორების განვითარება, რადგან თითოეული სექტორის პოპულარიზაცია იწვევს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ეკონომიკის სექტორების მიხედვით ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში 2017-2018-2019 წლებში დიდი რაოდენობით

განხორციელდა პერსონალურ და სოციალურ მომსახურებასი მაგრამ 2019 წელს წინა წლებთან შედარებით შემცირდა. შემდეგი იყო საფინასნო სექტორი ტრანსპორტი და ა.შ ხოლო სოფლის მეურეობა და ჯანდაცვა რაც ჩემი აზრით უფრო მოწინაცე საფეხურზე უნდა იყოს სამწყხაროდ ვერ ვითარდება.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით

2019 წლის I კვარტალში

დიაგრამა 3.1




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

www.geostat.ge

პირდაპირი უცხოუური ინვესტიციები გაიზარდა სასტუმროსა და რესტორნის სექტორში 18,3 მილიონი დოლარით 25,4 მილიონ დოლარამდე, დამამუშავებელ მრეწველობაში 8 მილიონი დოლარით 21 მილიონ დოლარამდე.

ჩამოთვლილი კომპანიებიდან გამომდინარე მინდა ყურადღება გავამახვილო EBDR ევროპის განვითარების ბანკზე, რომელიც დახმარებას უწევს კომპანიებს რომლებიც ცდილობენ ფეხი მოიკიდონ ბაზარზე ფინანსური დახმარების საფუძველზე. EBDR არის კომპანია რომელიც როგორც მცირე ასევე მსხილმაშტაბიან კომპანიებს ფინანსურ დახმარებას უწევს. ის წარმოადგენს იმ უცხოურ კომპანიას, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა ინდუსტრიაში ეს შეიძლება იყოს : საცალო და საბითუმო საქონლის წარმოება, ლოჯისტიკა, სამშენებლო საქმიანობა, პროდუქციის წარმოება და ა.შ.

EBDR-ის დაფინანსება ხორციელდება ისეთი სახის კომპანიებზე რომლის წლიური მრუნვა 50 მილიონ ევრომდე გააჩნია ან 43 მილიონ ევრომდე საბალანსო ღირებულება აქვს ხოლო მომსახურე პერსონალი 250_ს არ აღემატება. კომპანიის მლობელები უნდა იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები და კომპანიის საქმიანობა მინიმუმ 2 წელი უნდა ხორციელდებოდეს.

EBDR არის ორგანიზაცია რომელიც თითქმის ყოველგვარ საქმიანობას აფინანსებს გარდა სამხედრო მრეწველობისა და აზარტული თამაშების ბიზნესისა. 2019 წლის მონაცემებით EBDR_ის საშუალებით განხორციელდა 198 პროექტი საიდანაც საერთო ინვესტიციამ შეადგინა 3,466 მილიონი ევრო, აქედან კერძო ბიზნესზე დაახლოებით 79% მოდის, ხოლო მიმდინარე პროექტების მაჩვენებელი 798 მილიონ დოლარს შეადგენს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ დიაგრამაზე ნათლად ჩანს თუ როგორ იცვლებოდა ინვესტიციების რაოდენობა დროთა განმავლობაში. როგორც მოცემული დიაგრამებიდან ჩანს 2019 წელს ინვესტიციების რაოდენობა წინა წელთან შედარებით

შემცირდა და ამის გამომწვევი მიზეზები გარკვეული ფაქტორებით იყო გამოწვეული. მოცემული დიაგრამებიდან თუ ვიმსჯელებთ 2020 წელს ინვესტიციების რაოდენობა ნაკლები იქნება წინა წელთან შედარებით ამიტომ ქვყნის შიგნით აუცილებელია სხვადასხვა საკითხების გატარება, რაც სამომავლოდ საშუალებას მოდვცემს ინვესტიციების რაოდენობის გაზრდის.

ახსანიშნავია ის ფაქტი რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება დამოკიდებულია გარკვეული სახლის ფაქტორებთან:

- ეკონომიკური პოლიტიკა - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება პირდაპირ კავსშირშია სხვა ქვეყნიდან დაინტერესებული ინვესტორთან ნდობისა, რომელთა წარმოდგენით ქვეყანაში მიმდინარეობს არაეფექტიანი, არაჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკა.
- საპრივატიზაციო ტერიტორიები და ობიექტბეი - ყველა ინვესტორი ცდილობს ნაკლები დანახარჯებით მოგების მაქსიმიზაციას. სამწუხაროდ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე საპრივატიზაციო ობიექტები და ტერიტორეიბი, რომლითაც ინვესტორები დაინტერესდებიან მინიმალური რაოდენობისაა. რაც უფრო მცირდება საპრივატიზაციო ტერიტორიებისა და ობიექტების რადენობა შესაბამისად მცირდება ინვესტიციების შემოდინების სიხშირე.
- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - ქვეყანა სადაც საშუალო ფენის მოსახლეობა ნაკლები რაოდენობისაა ვიდრე დაბალი შემოსავლების მქონე, ინვესტორები მსგავსი მდგომარეობის დროს ქვეყანას თვლიან მცირე ბაზრის მქონე ქვეყნად და ინვესტიციას არ ანხორციელებენ.

## 3.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მისი

ხელშემწყობი ფაქტორები. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპებზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციების შემოდინების ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად გადაიქცა. ბოლო წლეებში განვითარებადმა ქვეყნებმა განახორციელეს საინვესტიციო პოლიტიკის ლიბერალური მექანიზმები, რაც გულისხმობს ინვესტორთა ხელშემწყობ ფაქტორებს. მოგეხსენებათ, რომ ინვესტიციების შემოდინეა პირდაპირ პროპორციულია შემოსავლების ზრდასა და დასაქმებასთან. (OECD 2012)

ინვესტიციის მიმზიდველობის მთავარი ფაქტორებია:

- ხელსაყრელი ეკონომიკური პოზიცია;

- უზარმაზარი რესურსის პოტენციალი;

- განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, საერთაშორისო აეროპორტის არსებობა;

- ყველაზე მძლავრი გაზსადენების და ნავთობსადენების არსებობა, განვითარებული საწვავის და ენერგეტიკული კომპლექსის არსებობა, რომელიც თავის სტრუქტურაში ძალზე მრავალფეროვანია. იგი წარმოადგენს ნავთობის, გაზის, ყავისფერ ნახშირის მოპოვებას და დამუშავებას, თერმული და ელექტროენერგიის წარმოებას;

- განვითარებული სოფლის მეურნეობა;

- შემუშავებული საკანონმდებლო ჩარჩო, მათ შორის, საინვესტიციო საქმიანობის სფეროში, ინვესტორებისთვის დახმარების გაწევა.

ამრიგად, ინვესტიციის ეფექტურობა განსაზღვრავს ინვესტიციის მიმზიდველობას, ხოლო ინვესტიციის მიმზიდველობა განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობას. რაც უფრო მაღალია ინვესტიციის ეფექტურობა, მით უფრო მაღალია ინვესტიციის მიმზიდველობისა და უფრო დიდი ინვესტიციის აქტივობის დონე და პირიქით.

საინვესტიციო გარემო არის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა ფირმებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობის ფართო სიტემაა, რომელთა შემადგენელი ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ: პოლიტიკური, რაც ინვესტირების პოლიტიკურ რისკებთან არის დაკავშირებული; სამართლებრივი, რომელშიც ასახულია საკუთრებითი ურთიერთობა და ეკონომიკური, რომელიც მოიცავს ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს. (ფუტკარაძე 2013)

ქვეყნის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფისთვის მიზანშეწონილია ინვესტიციების წახალისება იმ რაოდენობით, რამდენადაც წახალისებულია ექსპორტ იმპორტის მაჩვენებელი. თუ უცხოელი ინვესტორები ზრდიან ქვეყნის ეკონომიკას მაშინ ქვეყნის შიგნით წარმოებული ნამატი პროდუქცია ნაწილდება შემდეგ სუბიექტებზე:

1. ინვესტორზე, რომელიც იღებს თავის წილ შემოსავალს დივიდენდების, მოგების ანარიცხების, ლიზინგის ან სხვა სახით;

2. დაქირავებულ პერსონალზე (სამუშაო ძალა), რომელიც იღებს საკუთარი შრომის საფასურს;

3. სასაქონლო ბაზრის გაჯერება, მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, რომელთაც შეუძლიათ საქონელი შეიძინონ უკეთეს ფასად და უკეთესი პირობებით. აქედან გამომდინარე, მოგებას იღებს ყველა მომხმარებელი;

4. წარმოების გაფართოება, დაქირავებულ პერსონალზე ხელფასის გაცემა საგადასახადო შემოსავლების ზრდის საფუძველზე იწვევს სახელმწიფო ხაზინის შევსებას (ხურცია 2005).

ქვეყნის განვითარებისთვის სტიმულირების პროგრამას წარმოადგენს და განსაზღვრავს ინვესტიციების დაგეგმვა, სიდიდეებისა და მიმართულებების განსაზღვრა. რეალურად ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ ფაქტორებად შეიძლება წარმოვიდგინოთ სახელმწიფოს მიერ პრივატიზაციისთვის გატანილი ობიექტები. პრივატიზაციის  არსი სხვდასხვა ხასიათით შეიძლება იყოს წარმოდგენილი რათქმაუნდა სახელმწიფო ინტერესების დაცვით. პრივატიზაციასა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის არსებობს პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება:

1) დაბანდებული ინვესტიციის დროს პრივატიზაცია შეიძლება გამოყენებული იყოს ეკონომიკური ბაზრის გაფართოებისთვის.

2) პრივატიზაცია, როგორც ადგილობრივი ინესტორებისთვის ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის  წარმოადგენს მაკროეკონომიკურ ფაქტორს.

3) ინვესტიციის დაბანდება, ნებისმიერი ქვეყნისთვის გარკვეული შემთხვევების დროს დაკავშირებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციასთან.

ინვესტიციის მოზიდვისთვის 2003 წლიდან შეინიშნება გარკვეული ცვლილებები, ეს ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ქვეყნის იმიჯის წამოსაწევად

გარკვეული ღონისძიებების ჩატარებითა და სარეკლამო საშუალებებით, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები.

ინვესტიციების მოზიდვა არ არის მარტივი საკითხი არცერთი განვითარებას მყოფი ქვეყნებისთვის, ამიტომ ყველა ქვეყანა ცდილობს გაარკვიოსინ ინდიკატორები და კრიტერიუმები რის საშუალებითაც ინვესტორები ანხორციელებენ ინვესტიციებს. ჩემი შეხედულებით ინვესტორები ეძებენ ისეთ ქვეყნებს სადაჩ შესაძლებელია მარტივად პოტენციური ბაზრების მოძიება, არისი პოლიტიკური სტაბილურობა, კანონმდებლობა არ იცვლება ხშირად, ქვეყანაში არის კორუფციის დაბალი მაჩვენებელი. იმ შემთხვევაში თუ ინვესტიციის მიმღები ქვეყანა ჭაახალისებს და გააფართოვებს ადგილობრივ ბაზრებს ინვესტორებისთვის, შესაძლებელია ამ ყველაფერმა გამოიწვიოს ინვესტიციის განხორციელების სურვილი.

ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის გახსნამ შესაძლებელია დადებითად იმოქმედოს ქვეყანაში ინვესტიციების ზრდაზე თუ რათქმაუნდა ამუშავდება სამმაგი მოდელი, რაც ნიშნავს ერთი ქვეყნიდან ნედლეულის შემოტანას მეორეში და რათქმაუნდა მზა პროდუქციის გატანა სხვა ქვეყნებში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში 2020 წლის მონაცემებით დასახელდა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, კერძო კაპიტალის განვითარება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ძირითად პრობლემებს, რასაც ინვესტორები საქართველოში ინვესტიციების დაბანდების დროს აწყდებიან ესაა „სავაჭრო გამოუცდელობა.“ „სავაჭრო გამოუცდელობა“ გამოწვეული იყო ბაზარზე არსებული მოძველებული კომპანიები, რომელებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშრის მოძველებული გამოცდილებით ხელმძღვანელობდენ, რაც თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობისთვის რეალობასთან გაცილებით შორის იმყოფება.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა რთული შესანარჩუნებელია რადგან საქართველო ამ პერიოდისათვის დამოკიდებულია სავაჭრო ურთიერთობებით

მეზობელ ქვეყნებზე: თურქეთსა და რუსეთზე, შესაბამისად ამ ორ ქვეყანაში მომხდარი ეკონომიკური არეულობა ავტომატურად აგვესახება ეკონომიკურ მდგოამრეობაზე. ბოლო დოროს ეკონომიკური არასტაბილურობა სავალუტო ცვლილებები სწორედ მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობიდან არის გამოწვეული და ეს ყველაფერი რათქმაუნდა მოქმედებს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე.

საქართველოს საინვესტიციო გარემომ რეალურად 2004 წლიდან დაიწყო განვითარება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობათა და გარკვეული კვლევებით დასტურდება, რომ ინვესტიციების მატება ამ პერიოდისათვის გამოიწვია შემცირებულმა საგადასახადო ბაზამ, ეფექტიანმა ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებმა, კორუფციის შემცირებამ და ლოჯისტიკის განვითარებამ.

მსოფლიო ბანკის გამოცემული ინფორმაციით, საქართველო რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე ღია ქვეყანაა უცხოური ინვესტიციების მისაღებად და არანაირი შეზრუდვა არ გააჩნია უცხოური კაპიტალის დაბანდების კუთხით, მაგრამ ადილობრივი ინვესტორების თქმით გარკვეული ზეწოლა არსებობს მათზე, უცხოელი ბიზმესმენებისგან განსხვავებით. მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, საქართველო მსოფლიოში უპირველესი ქვეყანაა კომპანიის რეგისტრაციის სიმარტივით, როცა მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნები ამ პროცედურებს თვეებს ანდომებს მაგ: ჩინეთს დაახლოებით 3 თვე სჭირდება კომპანიის რეგისტრაციისთვის, ხოლო ანგოლას დაახლოებით 1 წელამდე ვადა. ის ფატიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგადად აღმოსავლეთ ევროპა მსოფლიოში წამყვან როლს იკავებს აღნიშნულ საკითხში, განსაკუთრებით კი: (საქართველო, ბელორუსია, მაკედონია, თურქეთი).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რეგისტრაციის თვალსაზრისით საქართველო ლიდერია მოცემულ ქვეყნებს შორის, რადგან დამატებითი საფასაურის გადახდის შემთხვევაში შესაძლებელია ინვესტორმა საქმიანობის დასაწყებად  პროცედურა 4 დღის ნაცვლად ერთ დღეზე დაასრულოს. რეალურად, როცა ნებისმიერი ინვესტიცია

ხორციელდებ სხვადასხვა წამყვან ქვეყნებში მაგ:  ჩინეთში, აშშ_ში და ა.შ ინვესტიციის განხორციელებას ჭირდება სამთავრობო წამომადგენლობისგან გარკვეული დასტური, რაც ჩვენი ქვეყნის მთავრობის მიერ არ ხორციელდება. ეს ყველაფერი კი უამრავ სირთულეებს აცილებს ბიზმესმენებს. ჩემი შეხედულებით ზემოთ აღნიშნული საკითხი არ არის საკმარისი ინვეტიციების მოსაზიდად პირიქით ყველა მიმართულებას ჭირდება გარკვეული წახალისებები, შექმნილი ინფრასტრუქტურები ინოვაციები და ა.შ.

2003 წლიდან 2013 წლის ჩათვლით საქართველო უცხოელ ინვესტორებს გაადვილებული გზებით სთავაზობდა მიწის შეძენის გზებს, რათქმაუნდა ვალდებულების აღებით, რომ სამომავლოდ ამ მიზწაზე ინვესტიციას განახორცილებდენ. 2013 წლის შემდგომ როცა სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა ეს პრაქტიკა შეწყდა. თუმცა მიუხედავად აღნიშნული აკრძალვებისა უცხოელი ინვესტორები მიწის კადასტს ადვილად პოულობენ და გარკვეული პროცედურების გავლლის შემდგომ ისინი ახერხებენ მიწის იჯარით აღებას სამომავლო საქმიანობისთვის. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კერძო მესაკუთრიგან მიწის იჯარით აღებას მხოლოდ 8 დღე სჭირდება, მაშინ როცა სხვა განვითარებულ ქვეყნებს, როგორიცაა საბერძნეთი და თურქეთი ამისთვის 15 დღე სჭირდება, ხოლო პოლონეთს 146 დღიანი პროცედურა. შედარებით სირთულეს მოიცავს მთავრობისგან მიწის იჯარით აღება, რაც დაახლოებით 50 დღიან პროცედურას მოიცავს, ეს მაჩვენებელი მსოფლიოში საბეძნეთი შემდგომ (20 დღე) მეორე მაჩვენებელია. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით საქართველო თავისი ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკით მსოფლიოში მერვე ადგილს იკავებდა, თუმცა ქვეყნის შიგნით არსებული რიგი პრობლემების გამო ივესტორებს ინვესტიციის განხორციელებაში რიგ პრობლემებს უქმნის. ეს პრობელემები კი შეიძლება იყოს კომერციული დავები, პროდუქციის წარმოებასთანდ აკავშირებული სირთულეები და ა.შ.

მსოფლიო ბანკის თანახმად საქართველოში ქონების რეგისტრაცია ერთ დღიან რეგისტრაციას მოიცავს და სიმარტივით მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს.( დონგ ბუსინესს, 2014) თუმცა აღნიშნული მიღწევა უინტერესო და უსარგებლო ხდება, იმ მოტივით, რომსაკუთრების უფლების დაცვით საქართველო 145 ქვეყნიდან 120 ადგილზეა.

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სხვადასხვა ორგანიზაციული მექანიზმი შეიძლება გამოყენებულ იქნას უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ზოგიერთ ქვეყანაში, ამ ამოცანას წარმატებით ასრულებენ არსებული სამინისტროები ან დეპარტამენტები, ზოგიერთში კი სპეციალური მიზნებია შექმნილი ამ მიზნებისათვის.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მიზიდულობის პროცესების ორგანიზების რამდენიმე ტიპი:

1) დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების სისტემა, საკოორდინაციო ორგანოს მეტ-ნაკლებად გამოხატული როლით, რომელიც არის ერთ – ერთი სამინისტრო ან დეპარტამენტი;

2) დეცენტრალიზებული სისტემა, რომლის საკოორდინაციო ორგანოა მინისტრების წარმომადგენელთა კომიტეტი (მინისტრები და მათი მოადგილეები), რომლებიც ეწევიან საქმიანობას უცხოური ინვესტიციების რეგულირების სფეროში;

3) მთავრობის სტრუქტურაში დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელსაც ორგანიზაციულად არ მიეკუთვნება სხვა სამინისტროები და უწყებები და პასუხისმგებლობა ეკისრება საგარეო ინვესტიციებთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;

4) უცხოური ინვესტიციების მიმართ პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ძირითადი ფუნქციების გადაცემა არსებული ერთეულ სამინისტროში

შემავალი სტრუქტურაში სპეციალიზებულ განყოფილებაში, ხოლო მინისტრის დავალებას დაავალოს კოორდინაცია გაუწიოს ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების ფუნქციებს, რომლებიც სხვა სამინისტროების და უწყებების პასუხისმგებლობაა.

მრავალი თვალსაზრისით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ორგანიზების მეთოდი განპირობებულია ქვეყნის ისტორიული ეკონომიკური მენეჯმენტის სისტემით. კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციური მრავალი სხვა ფაქტორიც ახდენს გავლენას.

თანამედროვე მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული სპეციალური სახელმწიფო და ნახევრად სახელმწიფო უწყებების შექმნის პრაქტიკა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მართვაში. ამჟამად, ასეთი სააგენტოების დაახლოებით 100 ქვეყანაა. ასეთი სააგენტოები არსებობს კანადაში, ჩილეში, პოლონეთში, ვიეტნამში და ფილიპინებში. რიგ ქვეყნებში, უცხოური ინვესტიციების სააგენტოები დაქვემდებარებულნი არიან ეკონომიკის ძირითადი სამინისტროებით, ან შეიქმნა შესაბამისი სპეციალობის განყოფილებები ამ სამინისტროების შიგნით. ეს მდგომარეობა დამახასიათებელია, კერძოდ, ავსტრალიაში, იაპონიასა და ჩინეთში. ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ვარიანტების შეთავსების პრაქტიკა. კერძოდ, ირანს და მექსიკას ახასიათებთ 4 და 2 ვარიანტების ერთობლიობა, როდესაც უცხოური ინვესტიციების რეგულირების ძირითადი საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილებები გადაეცემა ეკონომიკის სამინისტროების სპეციალურ განყოფილებებს, ხოლო უწყებათაშორისი კოორდინაციის ძირითადი ფუნქციები ენიჭება სამთავრობო კომიტეტებს, რომელთა შემადგენლობაში შედიან სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელობის წარმომადგენლები.

# თავი 4 . პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების მნიშვნელობა

## 4.1 ინვესტიციების რეგულირების მნიშვნელობის გენეზისი

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (CEE) კომუნალური-ადმინისტრაციულიდან საბაზრო ეკონომიკაში გადადიან საშინაო ფინანსური რესურსების სიმცირის გამო. აქედან გამომდინარე, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (FDI) ბევრ მათგანში განიხილება, როგორც ეროვნული ეკონომიკის რეფორმირების რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო. FDI- ის ღირებულება აძლიერებს ცხიმს; რომ ისინი არა მხოლოდ კაპიტალის წყაროა, არამედ მოწინავე ტექნოლოგიებისა და მენეჯერული უნარების გადაცემის საშუალებაა. ამავე დროს, უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მასპინძელი ქვეყნების ეკონომიკაზე, კერძოდ, აიძულოს ეროვნული საწარმოები, რომლებიც ვერ გაუძლებენ ბაზრის კონკურენტულ ზეწოლას.

CEE ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს; რომ მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მოცულობა და დინამიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობა და მათი დადებითი და უარყოფითი გავლენის ნაშთი, დიდწილად განისაზღვრება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების რეგულირების ეროვნული პოლიტიკის მახასიათებლებით.

რალურად კარგად გასაგებია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენის საკითხები ეკონომიკურ ზრდაზე, სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების, საექსპორტო პოტენციალის განვითარებისა და CEE-ში ყოფილი დაგეგმილი მეურნეობების რესტრუქტურიზაციის საკითხები. ეს გამოწვეულია იმით, რომ გარდამავალი ეკონომიკები ცოტათი ღია იყო ათზე მეტი ხნის წინ, და დაგროვილი სტატისტიკური მასალა, აშკარად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სწორად და გონივრულად შეაფასოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები რეგულირდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო დონეზე რეგულირების ძირითადი ფორმაა საერთაშორისო ინვესტიციის ხელშეკრულებები. ისინი ჰარმონიზაციასა და გაძლიერებას ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დარეგულირების ზომებს შესაბამის ქვეყნებს შორის. ასეთი შეთანხმებები შეიძლება იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი. ამ შეთანხმებების მხარეები არიან ეროვნული მთავრობები და მთავრობათაშორისი ეკონომიკური ორგანიზაციები, როგორიცაა WTO, OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), ILO (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა.შ.). ყველაზე ხშირად, ორმხრივი ხელშეკრულებები გაფორმებულია მონაწილე ქვეყნებს შორის. ისინი შეიმუშავებენ ინვესტიციების დაცვის მექანიზმს, არაკომერციული რისკებისგან გარანტიებს და დავების გადაწყვეტის პროცედურას.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ძირითადად დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე. ამ ნაშრომში მთავარი ადგილი ეკუთვნის სტიმულირების სისტემის შექმნას. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება. განვითარებულ ქვეყნებში ისინი ძირითადად იყენებენ ფინანსურ რესურსებს, ხოლო განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალ ეკონომიკურ ქვეყნებში, ფისკალურ და საგადასახადო ფონდებში.

ყველაზე ხშირად, განუვითარებელი ქვეყნები იყენებენ საგადასახადო სტიმულს. ამ სტიმულირების მიზანია უცხოური კაპიტალის მოზიდვა ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის და ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნით. ყველაზე ხშირად გამოიყენება საგადასახადო არდადეგები, ინვესტიციის ფასდაკლება, საგადასახადო კრედიტი, დაჩქარებული ცვეთა, ინვესტიციის სუბსიდიები, არაპირდაპირი საგადასახადო შეღავათები.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უცხოური ინვესტიციების სტიმულირებას თავისუფალი ეკონომიკური ზონების (SEZs) შექმნით. ეს არის სპეციალური იურიდიული და ეკონომიკური სტატუსის მქონე ზონები, რომლებიც ქმნის უამრავ პრივილეგიაზე დაყრდნობით უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ხელსაყრელ პირობებს.

საქმიანობის სახეობიდან გამომდინარე, ხუთი ტიპის ზონა გამოირჩევა:

1) შეზღუდული ეროვნული საბაჟო ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საქონლის შენახვა და ადაპტირება საბაზრო პირობებთან;

2) საწარმოო წარმოების ზონები სპეციალური საბაჟო რეჟიმით, რომელშიც სამრეწველო კომპანიები აწარმოებენ ექსპორტის და იმპორტის შემცვლელი პროდუქტების სტიმულირების სისტემის გამოყენებით;

3) ტექნოლოგიურ-ინოვაციური ზონები, რომელშიც არის ეროვნული და უცხოური კვლევითი, დიზაინერული და სამეცნიერო-საწარმოო კომპანიები, რომლებიც სარგებელს იყენებენ არსებული სისტემის გამოყენებით;

4) მომსახურების სფეროები, ე.ი. ტერიტორიები, რომლებსაც შეღავათიანი მოპყრობა აქვთ ფირმებისა და ინსტიტუციების მეწარმეობისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტიპის ფინანსურ და არაფინანსურ მომსახურებას;

5) კომპლექსური ზონები ეკონომიკური საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმით ერთი ადმინისტრაციული რეგიონის ტერიტორიაზე.

SEZ – ების შექმნისა და განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თითქმის არასოდეს განვითარდება ზონები თავდაპირველი გეგმის შესაბამისად. ამის მიზეზებია ზონასა და გარემოს ურთიერთქმედების მექანიზმების სირთულე, მისი ადგილმდებარეობის ცუდი არჩევანი, ძირითადი ინფრასტრუქტურის შექმნაზე

საკმარისი ყურადღების მიქცევა, ზუსტი ინსტიტუციური ურთიერთობა ზონის ადმინისტრაციასა და სამთავრობო უწყებებს შორის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად დაბალია სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ასეთი ზონების შექმნის ამოცანები ყოველთვის გულისხმობს გარკვეული ეროვნული სარგებლობის მოპოვებას მთლიანი ეროვნული ეკონომიკისთვის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზონის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტურობას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. პოზიტიური ეფექტი ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როდესაც ზონების რაოდენობა და ზომა ოპტიმალურია მთელი ეკონომიკის განვითარების მოცემულ დონეზე, ხოლო ეროვნული ეკონომიკა და ეროვნული კანონმდებლობა სტაბილურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, SEZ– ის მოქმედება შეიძლება იყოს ორაზროვანი.

## 4.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირება

საქართველოში. საინვესტიციო გარემოს შექმნა და მისი რეგულირება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის გლობალურ ეკონომიკაში. უცხოური ინვესტიციების რეგულირება არ არის მარტივი საკითხი, რადგან მკაცრ ჩარჩოებში მოქცევამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციების შემცირება, ხოლო რეგულირების გარეშე შესაძლებელია ქართული ეკონომიკისა და ადგილობრივი სამამულო ინვესტიციების შმეცირება. განვიხილოთ ჩვენეული აზრით როგორც ერთი ასევე მეორე მხარე და ვისაუბროთ დადებით და უარყოფით მხარეებზე.

უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, ინვესტორს შევუქმნათ ისეთი გარემო და ეკონომიკური რეალობა, რომ გაუჩნდეს თავისი კაპიტალის დაბანდების სურვილი. პირველ რიგში ინვესტორი კაპიტალის დაბანდების დროს სწავლობს ადგილობრივ ბაზარს, საგადასახადო ბაზას, ბაზრის

მოცულობას, პოლიტიკურ გარემოს, ინფლაციის რისკებს, კადრთა მდგომარეობას და კვალიფიკაციას, გეოგრაფიულ მდებარეობას და ა.შ. მაგალითის თვალსაზრისით, რომ განვიხილოთ 2003 წლიდან ლიბერალურმა ეკონომიკურმა მიდგომამ ინვესტიციების მატება გამოიწვია და მოგეხსენებათ, რომ იმ პერიოდისთვის საინვესტიციო საქმიანობის წარმოებისა და რეგისტრაციის სიმარტივით საქართველო თითით მისათიტებელ ქვეყანად ითვლებოდა. 2008 წლის პერიოდი, როცა პოლიტიკუირი მდგომარეობა დაიძაბა საქართველო რუსეთს შორის ინვესტიციებმა საგრძნობლად იკლო, რამაც საბოლოო ჯამში ეკონომიკურ კრიზისამდე მიგვიყვანა. მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო ინვესტიციების შემოდინების საწინდარია.

უცხოური ინვესტიციების შემოდინება, რეალურად რეგულირების გარეშე წარმოუდგენელია, რადგან ერთი ეკონომიკური საკეთილდღეო საქმიანობით შესაძლებელია საფრთხე შევუქმნათ მეორე გარემოებას. მაგალითის განხილვისთვის შეგვიძლია ვისაუბროთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ განხორციელებულ ინვესტიციებზე. XX საუკუნის პერიოდისათვის საკანონმდებლო ბაზა არ იყო ისე მოწესრიგებული რომ გარკვეული საფრთხეები აგვერიდებინა თავიდან. განვიხილით ერთ-ერთი მაგალითი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს ფუნქციონირებდა ერთ_ერთი უმსხვილესი ვაგონთმშენებელი ქარხანა, რომელიც შეიძინეს რუსმა ინვესტორება. სამწუხაროდ აღნიშნული ქარხნის ფუნქციონირების ნაცვლად ქარხანა გაჩერდა, მიზეზი კი რუსული სახელმწიფო აგენტურა იყო. რეალურად მათ ვაგონთმშენებელი ქარხანის ინტერესეი არ ქონდათ პირიქით აგენტურ საქმაიანობას ეწეოდენ. ის ფაქტი, რომ ეკონომიკური სიძლიერისთვის გვჭირდება უცხოური ინვესტიციები სულაც არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი სახის ინვესტიცია მივიღოთ თითქოს ქვეყნინის ეკონომიკური სიძლიერისთვის. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ ინვესტიციების მიგებას

სჭირედბა რეგულირება. ბოლო წლეების განმავლობაში მკვეთრად აღინიშნებოდა ირანული ინვესტიციების შემოდინება, რაც ვფიქრობ საბოლოო ჯამში უფრო აგენტურ შინაარს ატარებდა.

საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც უცხოური ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძველს და მაი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობის ეშეწყობისა და გარანტიების შესახებ საქართველოს კანონი.

ზოგადი დებულებები საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებასთან დაკავშირებით შემდეგია:

1. ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

2. ასეთი ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს:

ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;

ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;

გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

საკანონმდებლო დებულებით  გარკვეულის  სახის ინვესტიციების დაბანდება აკრძალულია. ისეთი სახის ინვესტიცის განხორციელება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადგილობრივ მაცხოვრებლებს ან სახლემწიფო ფუნქციონირებას ან ეკონომიკურ გარემოს კანონით დაუშვებელია.

საკანონმდებლო ნორმებით საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ინვესტიცია რომლეც ხელს უწყობს:

ა) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;

ბ) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;

გ) უცხო ქვეყნიდან ბირთვული და სახიფათო ნარჩენების აღდგენისა და განთავსების მიზნით შემოტანაში;

დ) ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;

ე) ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;

ვ) დამაძინებელი ყაყაჩოს, კოკას ბუჩქისა და კანაფის მცენარის კულტივირებაში;

ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში;

თ) ტყვიაშემცველი (0,013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტში ან რეალიზაციაში (იმპორტში ტეტრაეთილტყვიის ინვესტირება დაიშვება მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით ნებადართულ აუცილებელ შემთხვევებში) .

2. მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა ინვესტირება დასაშვები:

ა) ფულადი ნიშნების, მონეტების, სახელმწიფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოებაში;

ბ) ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმის დადამღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი ნარკოტიკული საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი სახეობების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ე) ენერგეტიკის სადისპეტჩერო საქმიანობაში.

3. უცხო ქვეყნისა და კერძო ინვესტორებისათვის, მართვის უფლების მინიჭების გარეშე, საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტირება დასაშვებია:

ა) საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და საზღვაო ნავსადგურების აკვატორიებში საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის სადისპეტჩერო საქმიანობაში;

გ) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის რეგულირებასთან, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, სამხედრო-საბრძოლო ტექნიკის წარმოებასა და რეალიზაციაში ახალი სახეობებისა და მოდიფიცირებული იარაღის შექმნასა და გამოცდაში;

ე) სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში;

ვ) სამშვიდობო დანიშნულებით ბირთვული ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ქართული კანონმდებლობა ასევე განხორციელებულ ინვესტიციებზე და ინვესტორებზე ფარის როლშიც გვევლინება და იცავს მათ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებული ნორმებით ედავება მათ.

დავის წესი:

1. დავა უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს შორის წყდება მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესით ან საქართველოს სასამართლოში.

2. დავა უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის, თუ მისი გადაწყვეტის წესი არ არის განსაზღვრული მათი შეთანხმებით ან საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს სასამართლოში.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული, მხარეთა მიერ შეთანხმებული ან საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მათ აღსრულებას უზრუნველყოფს სახელმწიფო.

ასევე ხშირად გვაქვს შემთხვევები განხორციელებული ინვესტიციების დროს ადგილობრივ მუშახელთან და უცხოურ კომპანიებთან სამართლებრივი უთანხმოებები რასაც ქათული კანონმდებლობა შრომის კანონმდებლობით არეგულირებს. უცხოელი ინვესტორებისგან არაერთ სტატიაშია ნახსენები ქართულ მუშახელზე და ნახსენებია როგორც არაპროფესიონალი კადრი, ან არამენეჯერული უნარჩვევებით. ეს ჩემი შეხედულებით გამოწვეული პრაქტიკის არ ქონის გამო. რეალურად კადრი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანხორციელებს თავის საქმინაობას სამომავლოდ პროფესიონალად გვევლინება. სწორედ უცხოური ინვესტიციების შემოდინების დროს ბიზმესმენები აწყდებიან ერთგვაროვან პრობლემას მუშახელს გააჩნია განათლება მაგრამ არაპრქტიკულობის გამო დაკისრებულ საქმიანობას ვერ ანხორციელებს, ამიტომ ხშირად ხდება ზედა და ქვედა მმართველობით რგოლებში უთანხმოება რასაც არეგულირებს ქართული კანონმდებლობა.

# დასკვნა

დასკვნაში შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. მოგეხსენებათ, რომ ინვესტიციების შემოდინება ეკონომიკური ზრდის საწინდარია. თვალნათლივ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინვესტიციების რაოდენობრივი მაჩვენებელი ეკონომიკისთვის ბევვრის მომცემი არ შეიძლება გახდეს პირიქით შესაძლებელია რაოდენობაზე დაკვირვების დროს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი მხედველობის არეალიდან გამოგვრჩეს.

სტატისტიკური მონაცემებს, რომ გადავხედოთ ბოლო პერიოდის განმავლობაში ინვესტიციის მოზიდვის მიზნით ბევრი წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ რეალობას თვალი, რომ გავუსწოროთ ქვეყნის წარმატებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი არასაკმარისია. ვფიქრობ ინვესტორთა მოსაზიდად უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებები გვაქვს გასატარებელი.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა კონკრეტული, მიზანმიმართული ნაბიჯები. რეალურად საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და მოზიდვა წარმოადგენს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოდინებას და დანერგვას ქართულ ბაზარზე.

ქვეყანაში უფრო მეტი ინვესტიცია, რომ შემოვიდეს ამისთვის საჭიროა ჯანსაღ ეკონომიკური გარემოს შექმნა. საინვესტიციო საბჭო, რომელიც სწორედ მსგავსი პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა ჩემი აზრით სწორი მიმართულებით ვერ ფუნქციონირებს რადგან მათი საქმიანობით ქვეყანას დიდი შედეგი არ მიუღია. საინვესტიციო საბჭოს საქმიანობა უნდა იყოს გამჭირვალე, რომ მისი საქმინობა ეფექტიანად წარიმართოს. ივესტიციების რაოდენობის გაზრდისთვის ეკონომიკის სამინსტრომ ინფლაციის მაჩვენებელი მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს, ხოლო რაც

შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს უნდა დასტაბილურდეს, ხოლო ეროვნულმა ბანკმა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა სწორი მიმართულებით უნდა განახორციელოს.

ჩვენი ქვეყნისათვის ინვესტიციების შემოდინებას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს რადგან, ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია წარმოებისა და მომსახურების სფეროების განვითარების გარეშე. ვინვესტიციები ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს მთლიან შიდა პროუქტზე, სავაჭრო ბალანსზე, დასაქმებაზე კაპიტალურ ანგარიშგებაზე და ა.შ.

# გამოყენებული ლიტერატურა


1) გრეგორი მენქიუ, კონომიკის პრინციპები, გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2008.
2) აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. II
3) ბასარია რ., მესხია ი., გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები, თბ. 1995.
4) დათუნაშვილი ლ., საინვესტიციო კლიმატი საქართველოში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში
5) ვახტანგ ჭარაია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის
6) ოქროცვარიძე... 2010: ოქროცვარიძე ავთანდილ, ლაჭყეპიანი თენგიზ, ოქროცვარიძე ლალი, ,,მსოფლიო ეკონომიკა", საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი;
7) ჯ. დანინგი მსოფლიო ეკონომიკა;
8) ფუტკარაძე ნოდარ...საინვესტიციო პროექტების მართვის თეორია და პრაქტიკა", გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი;
9) ხურცია ლალი...,,საინვესტიციო საქმიანობის ფინანსირების გარე წყაროები'', ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი,,ეკონომიკა''
10) https://www.geostat.ge/media/24402/ucxouri-investiciebi-2019-I-kv-%28geo%29.pdf
11) https://forbes.ge/news/4063/TOP-investori-kompaniebi-

12) https://www.geostat.ge/media/24402/ucxouri-investiciebi-2019-I-kv-%28geo%29.pdf

13) https://www.ebrd.com/georgia.html

14) https://1tv.ge/news/saqartveloshi-gankhorcielebuli-pirdapiri-uckhouri-investiciebis-moculoba-6-3-procentit-shemcirda/

15) http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi_economics/vaxtang_charaia.pdf

16) https://works.doklad.ru/view/rAxYZEMzD68.html

17) https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15